საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 5 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 175 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 175

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდაწყვეტილნი მეუღლე დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი, დედა ეკატერინა სოლომონის ასული დავითაშვილისა, დაობლებული პატარა შვილები: თამარა და ტურფა, დედამთილი ანნა სოლომონის ასული ლუკაშვილისა, მულები: ნატალია პეტრეს ასული დათიკაშვილისა, ნინა პეტრეს ასული კიკვიძისა, ოლღა პეტრეს ასული თურქიძისა ქმარშვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, ხუთშაბათს,5 აგვისტოს სოფ. ხიდისთავში, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

ელენე კონსტანტინეს ასულის ლუკაშვილის

სულის მოსახსენებლად. (კვ. 2516 2—2)

ნუგეშ დაკარგული მეუღლე ნ|ტა, შვილები: ლიკო, ნიკოლოზ, ბარისი, საყვარლა, ალექსანდრა, ოლია, სონა, ალათი, რძალი ლოლა, ძმა ლადიძე და რძლები ეკალა, ებე, ძმისშვილები; ტირფილე და მოსე მეუღლითურთ, სიძეები: თედორე ნინიძე, სამსონ მდინარაძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგ-ნაცნობ-ნათესავებს, რომ 7 აგვისტოს, შაბათს 40 დღის თავზე ასკანის წმინდა გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის ძვირფასი და საყვარელი

არსენ საყვარელის ძე სიამაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. (2534 1—1)

9 მარიამობისთვიდან თფილისში გამოვა

ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

გაზეთი გამოვა ორშაბათობით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან { ალ. ლომთათიძე, ივ. გომართელი. სტ. ელიაძე.

საყურადღებოთ.

დავით იაგორის ძე

კალანდაძე

აცხადებს

რომ სავაჭრო სახლის

ძმ. სეილანოვების

რექტიფიკაციის ქარხანა, კონიაკის, არყის და ლიკიორების გადმოვიდა მის ხელში საკუთრებად 1 აგვისტოდან და ახლო მომავალში ნაწარმოები გამოვა თავის საკუთრის ფირმით. ვაგზლის ქუჩა, № 5, სახლი სომხის სასულიერო სემინარიისა. (2513—6—3)

პირველი საზღვაოფო სანატორიუმი ბორჯომში

მოთავსებულია დიდს სასახლეში და გაიხსნება 10—15 აგვისტოს კუჭის, ნაწლევთა, ღვიძლის, თირკმელების და ნივთიერებათა მიმოცვლის ავადმყოფთათვის, რომელნიც საჭიროებენ ბორჯომის წყლით წამლობას.

კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევანი და წამლობა პროფესორთა და ასისტენტთა ხელმძღვანელობით.

საწოლები დაეთმობათ სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციებს და პროფესიონალურ კავშირების წევრებს.

ათი საწოლი ეთმობა კერძო პირთ.

თვიური ფასი საწოლისა (კვებითა და წამლობით)—11.000 მან. ორგანიზაციებისათვის და 15.000 მან. კერძო პირთათვის.

ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ განცხადებით 7 აგვისტომდე.

წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება სანატორიუმის დირექტორთან ექ. მ. ზანდუკელთან 5—7-მდე, (ტელეფ. 9—31) ანასტასიის ქ. № 13. (2523—2—2)

სახალხო გვარდიის

მთავარ შტაბის მომწყობი განყოფილება აცხადებს კონკურსს მემანქანის ადგილზე (რემინგტონისტკა).

კონკურსი დანიშნულია ა. წ. 8 მარიამობისთვის დილის 10 საათზე.

პირობების გაგება შეიძლება მომწყობ განყოფილებაში (საპიორის ქუჩა, მთავარ შტაბი). (2535—2—2)

საქართველოს რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომლების მიერ გამოგზავნილი იყო სათბობი მასალები ვაგონებ-ცისტერნებით და ნავთ-საქაჩავ ტრუბებით და დაკავებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აღერბეიჯანთან ომის დროს, შემოიტანონ განცხადება სამასალო განყოფილებაში ამა 1920 წ. 15 აგვისტომდე მათ დასაკმაყოფილებლათ. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული სახელი სათბობი მასალისა და რაოდენობა, ნომერი ნაკლადნოისა, სადგური, რომელმაც გამოგზავნა და რომელ სადგურზე იყო გაგზავნილი, გვარი და მისამართი მიმღებისა. იმ პირთა განცხადებანი, რომლებიც შემოტანილი იქნება უგვიანეს 15 აგვისტოსა არ იქნება დაკმაყოფილებული. (ნ. 3—1)

## პოლონეთის მდგომარეობა

დღითი დღე ახლოვდება პოლონეთის ფრონტის საბოლოო ლიკვიდაცია. საბჭოთა ჯარები შეუდრეკელად წინ მიიწევენ, უკვე გადალახეს წინანდელი „პოლონეთის სამეფოს“ საზღვრები, აიღეს ბელოსტოკი, ოსოვეცი; უკანასკნელი დეპეშები იტყობინებიან, რომ მათ აუღიათ უძლიერესი ციხე—ბრესტ-ლიტოვსკი, ეს უმთავრესი ბარიერი ბელორუსიასა და პოლონეთს შუა. საბჭოთა რუსეთის წინსვლის ეხლა ვეღარაფერი შეაჩერებს და დღე-დღეზე უნდა ველოდეთ ცნობას ვარშავის აღების შესახებ.

ორი თვე არ გასულა მას შემდეგ, რაც პოლონეთი უძლიერეს სახელმწიფოდ მოევლინა ქვეყანას. მისი შემოტევა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ისე ძლიერი გამოდგა, რომ მოსკოვში ნამდვილი ალიაქოთი დაიწყო, საბჭ. მთავრობამ განგაში ასტეხა სამშობლოს და რევოლიუციის განსაცდელის გამო. მსოფლიოს დღევანდელი ბატონ პატრონები მთელს თავის პოლიტიკას აშენებდენ პოლონეთის გამარჯვებაზე. პოლონეთს უკვე თვალწინ ეხატებოდა წარსულ დროთა იდეალი—„პოლონეთი ზღვიდან ზღვამდის“ (ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდის). და სულ რაღაცა ორი თვის განმავლობაში მთელი ეს ოცნება გაქრა, ვითარცა საპნის ბუშტი. პოლონეთის მრისხანე ბატალიონები თავზარდაცემული მირბიან „წითელი“ ჯარების მიახლოვებისას.

რით აიხსნება ასეთი საბედისწერო დაცემა ასეთის ამაღლების შემდეგ?

ცნობილია, რომ პოლონეთი გაძლიერებული იყო არა თავისი საკუთარი ძლიერებით. მისი გაძლიერება სრულიად ხელოვნური იყო: მისი ჯარები მოწყობილი იყო სხვა სახელმწიფოთა თანხებით, ამ ჯარების ჩაცმა-დახურვა, სურსათი, ყველაფერი, რაც მათ სჭირდებოდათ, უცხო სახელმწიფოების მიერ იყო მოწოდებული. პოლონეთის მთავრობა უცხო სახელმწიფოთა კრეატურა იყო და მონური მორჩილებით ასრულებდა ამ სახელმწიფოთა ყოველს სურვილს. მისი გავლენა თვით პოლონეთის ხალხზე, მის დემოკრატიაზე იმდენათ უმნიშვნელო იყო, რომ ამ დემოკრატიის ზნრით მას არავითარი მხარის დაჭერის იმედი არ ჰქონდა. ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო იმ დრომდის, სანამ პოლონეთის არა-პოპულიარული მთავრობა, ასე ვთქვათ, თავის ქერქში ეტევოდა და მისი პოლიტიკა მთელი ერის ძალების მოკრებას არ მოითხოვდა.

მაგრამ ამნაირი მთავრობის ტრაგიზმი სწორედ იმაშია, რომ იგი თავის ქერქში ვერ გაჩერდება, რომ მისთვის აუცილებელია, გარდაუვალია შემტევი პოლიტიკის წარმოება. პოლონეთმა (უეჭველია, თავის მფარველ სახელმწიფოთა წაქეზებით) გადალახა ის საზღვარი, რომელზედაც მას რაიმე პრეტენზიების გამოცხადება შეეძლო, და დაიწყო დაჭერა იმ ადგილების, რომლებზედაც პოლონეთი ვერავითარის სამართლიანობით ვერ გამოაცხადებს თავის უფლებებს. სწორეთ ეს ნაბიჯი გამოდგა პოლონეთისთვის საბედისწერო. სწორეთ ამაში იმალებოდა მისი ხელოვნურად შექმნილი სიძლიერის დაცემა. შეტევაზე გადასვლა, გარეშე ომი შეუძლებელია გამარჯვებით გათავდეს, თუ სამხედრო ძალას ზურგს არ უმაგრებს მთელი ერის ენერგია და მისი საომარი აღფრთოვანება. სწორედ ამას იყო მოკლებული პოლონეთის ხელმძღვანელი პარტია. იგი მარტოოდენ უცხო სახელმწიფოთა დახმარებას ეყრდნობოდა; მაგრამ ცხადია ეს დახმარება ვერ იქნებოდა იმდენათ ძლიერი, რომ პოლონეთს შესძლებოდა შეტევითი ომი ეწარმოებინა იმისთანა დიდი ერის წინააღმდეგ, როგორიც რუსეთია.

თავისი იმპერიალისტური პოლიტიკით პოლონეთის მთავრობამ ხალხი იმ მდგომარეობამდის მიიყვანა, რომ მას თავის დაცვის ხალისიც კი მოუკლა. პოლონეთის დემოკრატია თანაგრძნობით ვერ მოეკიდებოდა მეზობელ სახელმწიფოზე თავდასხმას, რადგან პოლონეთ-რუსეთის ომში პოლონეთის მთავრობის მხარეზე არ იყო ზნეობრივი სიმართლე. თავიდანვე ასეთს ნიადაგზე დაწყებული ომი იმდენათ არა-პოპულიარული გამოდგა, რომ პოლონეთის ხალხი მისდამი საკმაო ინტერესებს ვერ იჩენს დღესაც კი, როდესაც თვით პოლონეთის არსებობაც კი საფრთხეშია ჩავარდნილი.

ისტორიამ იცის მრავალი ისეთი მაგალითი, რომ მცირე ერს ბუმბერაზული ენერგია გამოეჩინოს და სასწაულები ჩაედინოს თავისი საგმირო საქმეებით. მაგრამ ამისათვის ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო: მთელი ერი უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მის მხარეზეა ზნეობრივი სიმართლე, რომ მის თავგანწირვას მოითხოვს სამართლიანობა. შეტევითი ომი უმეტეს შემთხვევებში ამ ზნეობრივ იმპულსს მოკლებულია ხოლმე. ამით აიხსნება, რომ მცირე ერი, რომელიც სასწაულებრივს სიგმირეს იჩენს თავდაცვის დროს და ხშირად ძლიერ ერთან ომში გამარჯვებული გამოდის, ესევე ერი სულიერად უძლურია თავიზე ბევრათ უფრო სუსტი ერის წინააღმდეგ, როდესაც მის მიერ დაწყებულ ომს მიზნათ აქვს სხვისი დაჩაგვრა-დამონება.

## ორი სიყალბე

(ფაქტიური შენიშვნა)

როცა კამათი დავასრულე მოქ. დემოსიძესთან, მან ერთხელ კიდევ მოისურვა გამოჯირითება პრესაში და თავის მართლება. მისი პასუხი შეიძლებოდა სრულიად უყურადღებოთ დაგვეტოვებია. იგი უფრო კაპიტულიაციას წარმოადგენს, ვიდრე თავის პოზიციების დაცვას. სამაგიეროთ, ან შეიძლება ამიტომაც იგი შეიცავს ორ სიყალბეს და ჩვენ მხოლოდ ეს გვინდა აღვნიშნოთ.

ა) მოქ. დემოსიძემ დაამახინჯა ციტატა ჩემი წერილიდან იმით, რომ მოკვეცა მას ბოლო:

ჩვენ ვწერდით: „კითხვა კი მარტივია: დემოკრატია იძლევა თუ არა ისეთ ფორმებს, რომელიც გამოდგება და სასარგებლოცაა **მუშათა კლასისათვის ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნის და სოციალისტურ წყობილების ე. ი. პროლეტარიატის დიკტატურისათვის“.** და ამაზე ვუპასუხებდით. მარქსი, კაუცკი (ძველი, ბალშევიკებისთვისაც რევოლიუციონერი), როზა ლიუქსემბურგი და სხვ. ამას ადასტურებენ თავის რევოლიუციურ ნაწარმოებებში ერთი მხრით ოპორტიუნისტების და მეორე მხრით ანარქისტების წინააღმდეგ.

მოქალაქე დემოსიძემ მოარცხვად მოწყვიტა ჩვენს ციტატას ის ბოლო, რომელიც ხაზგასმულია და დარჩა: „კითხვა მარტივია. დემოკრატია იძლევა თუ არა ისეთ ფორმებს, რომელიც გამოდგება და სასარგებლოცაა და სხვა“.

(იხ. „კომ.“ № 7, წერილი: „ერთხელ კიდევ და სხვ.“).

ამ ბოლოს მოწყვეტის, ე. ი. ჩემი აზრის დამახინჯების შემდეგ იგი შეუდგა ასეთ კრიტიკას: საკითხი დგას კაპიტალიზმის გაუქმებაზე და სოციალიზმის განსახორციელებლათ ჭეშმარიტ, ნამდვილი სავალი გზის გამონახვაზე და არა დემოკრატიის ფორმების სარგებლობაზე ერთ დროსო.

აქ აშკარა მოქ. დემოსიძე შეებრძოლა თავის შექმნილ სიყალბეს და გაანადგურა ის, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

ბ) ჩვენ მოვიყვანეთ საფრანგეთის კომუნის შესახებ კ. მარქსის აზრი,—რომ ის, იყო დემოკრატიულ ფორმებში ჩამოსხმული და რომ ამით იგი იყო „მონახული პოლიტიკური ფორმა, რომელშიც შეიძლება შრომის განთავისუფლება“, ე. ი. სოციალიზმის განხორციელება კაპიტალიზმის ნანგრევებზე. მოქ. დემოსიძე კი აცხადებს: „კაცობრიობის ისტორიამ დღემდე მხოლოდ ორი მაგალითი იცის პროლეტარიატის დიქტატურის გამოხატვისა. ერთია მეტად ხანმოკლე—სულ რაღაც 70 დღისა—„პარიზის კომუნა“,—ხოლო მეორეა—რუსეთის პროლეტარიატის დღევანდელი დიქტატურა“.

აქ სიყალბე იმაშია, რომ, „რაღაც 70 დღის პარიზის კომუნა“ ამოუყენეს გვერდით საბჭოთა სისტემას ე. ი. მის სრულ ანტიპოდს, მისი პრინციპების სრულ უარყოფას. ე. ი. მუშათა დიქტატურით შემოგვაჩეჩეს ხელში დიქტატურა კომუნისტების, რომელსაც ჩვენ უარვყოფთ და რომელიც სადაო საგანია ჩვენს კამათში.

ცხადია, სიყალბესთან კამათი ზედმეტია. ერთში კი ვეთანხმებით მოქ. დემოსიძეს. მკითხველმა უნდა თვით გადასინჯოს, შეისწავლოს „პარიზის კომუნის“ ისტორია და მარქსის ნაწერები ამ საგანზე. მაშინ ის ჩვენსავით დარწმუნდება, რომ საბჭოთა ტერორის სისტემა, ე. ი. უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე, არ არის მუშათა დიქტატურა და არც შესავალი სოციალიზმის სამეფოში.

**რაქდენიძე**

## ბრიტანეთის მუშ. პარტიის წლიური კონფერენცია

(წერილი ლონდონიდა)

**ინტერნაციონალის საკითხი.**

(იხ. „ერთ.“ №№ 169, 171, 173)

(დასასრული)

მუშათა პარტიისათვის, საერთოდ, ერთ დიდ და კარდინალურ საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო საკითხი:—საკითხი ინტერნაციონალისა.

ეგრეთ წოდებულ მესამე ინტერნაციონალში მრავალი სოციალისტური ორგანიზაცია არ შევიდა,—და დღეს საკითხი ყველა სოციალისტურ პარტიისათვის კვლავ გადასაჭრელათ სდგას: მესამე თუ მეორე ინტერნაციონალი! მუშათა პარტიისათვის საკითხის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ბრიტანეთის მუშათა პარტიის კონფერენციაზე ამ სერიოზული საკითხის გარშემო მწვავე და ცხარე კამათი გაიმართა. ორი ფრთა დაეჯახა ამ კამათში ერთმანეთს—მომხრენი და მოწინააღმდეგენი მესამე ინტერნაციონალისა და გადაწყდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. კამათში მონაწილეობა მიიღეს თითქმის პარტიის ყველა ლიდერებმა.

კონფერენციის გახსნისას და უკანასკნელ დღეს 25 ივნისს დაისვა სწორეთ ეს საკითხი.

**სკან მაკკემ** კონფერენციას მოახსენა, რომ მუშათა პარტია უნდა შეუერთდეს მეორე ინტერნაციონალს. განაცხადა, რომ ინტერნაციონალის უდიდესი მოვალეობაა ხელი შეუშალოს და აცილოს ქვეყანას მომავალი ომები. მეორე ინტერნაციონალი დაეცა, მაგრამ არა იმ მიზეზების გამო, რომელზედაც მიუთითებს ლენინი, არამედ—იმიტომ, რომ მან გვერდი აუხვია შტუტგარტის და ბაზელის რეზოლიუციებს.

კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ძალები ისე შორს წავიდნენ მას შემდეგ, რომ მუშათა პარტია უნდა დაიწყოს და მიუდგეს მას სხვა პუნქტიდან.

აღელვების სული იზრდებოდა ომის განმავლობაში რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში. ყველა ეს თავს იყრიდა მუშათა ორგანიზაციებში, სადაც ახალგაზდა მუშები, ქალები და კაცები ცდილობდენ ეპოვნათ ახალი წესწყობილება, რაც უნდა გამოსახულიყო ნამდვილ ინტერნაციონალში. ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა იყო მტკიცე, სჭიროდა მხოლოდ წინამძღოლობა და რომ მიეღო ეს, იგი უნდა გამოსულიყო მეორე ინტერნაციონალიდან.

**მ. შინუელი** ამბობს, რომ მეორე ინტერნაციონალმა მონაწილეობა მიიღო კაპიტალიზმის ბოროტმოქმედებაში, დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგაც კი. მან ფეხქვეშ გათელა მუშათა იდეალები და იყო ინტერნაციონალი მხოლოდ სიტყვით და არ აძლევდა მნიშვნელობას არც ჩვენ და არც რომელიმე სხვა ქვეყანას. მას კი არ შეეძლო ბრიტანეთის მუშათა პარტიის გარეშე არსებობა. საფრანგეთის, გერმანიის დამოუკიდებელმა პარტიებმა, ისპანეთის, რუსეთის, იტალიის, ნორვეგიის და ავსტრიის მუშათა პარტიებმა არ მოინდომეს ჰქონოდათ საქმე მასთან.

**ჯ. პოდსონი** მომხრეა მესამე ინტერნაციონალის.

**რამზეი მაკდონალდი** (პარტიის უფროსი ლიდერთაგანი) სასტიკათ ილაშქრებს წინა ორატორების წინააღმდეგ, ახასიათებს პროლეტარიატის დიქტატურას, ამბოხებას პოლიტიკას და დაასკვნის, რომ მესამე ინტერნაციონალთან ჩვენ უნდა დავიკავოთ ღია დამოკიდებულება და მეორე ინტერაციონალს კი რეკონსტრუქცია მოვუხდინოთ.

**ჯ. კანგი** მომხრეა მესამე ინტერნაციონალის.

**ტომ შოუმ,** რომელიც საბჭოთა რუსეთში იყო, როგორც პარტიის დელეგატი, მოიყვანა სიტყვები მესამე ინტერნაციონალის ლიდერების, რომელთა სიტყვით დიქტატურა პროლეტარიატისა უნდა მოხდეს იარაღით ხელში და სთქვა: თუ კონფერენციას სურს ანარქია, აღიაროს ეს პირდაპირ, თუ არა და ჩვენ უნდა დავეთანხმოთ მეორე ინტერნაციონალს და წავიდეთ ჟენევაში, სადაც მისი კონგრესი იქნება და სადაც ჩვენ შევეცდებით გამოვნახოთ საერთო პროგრამა ყველა რევოლიუციონურ და მუშათა პარტიებისთვისო.

**ჯორჯ ლანსბერი** აცხადებს, რომ მეორე ინტერნაციონალი მოკვდა.

ცხარე კამათის შემდეგ კენჭი ეყარა რეზოლიუციას: შეუერთდეს ბრიტანეთის მუშათა პარტია მესამე ინტერნაციონალს თუ არა: შეერთების წინააღმდეგია 2,940,000 ხმა, შეერთების მომხრეა: 225,000 ხმა. ამგვარათ დიდი უმრავლესობით გადაწყდა, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტია რჩება მეორე ინტერნაციონალთან შეერთებული.

**კომისიების გაგზავნა.**

სანამ კონფერენცია დაიხურებოდა ბრიტანეთის მუშათა პარტიის ახალმა თავმჯდომარემ **ა. ჯ. კავრონმა** განაცხადა პარტიის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომ აღმასრულებელი კომიტეტის მომავალ სხდომაზე გარჩეული იქნება ერნესტ ბევინის მიერ აღძრული მოწოდება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გაიგზავნონ მუშათა კომისიები, რომელნიც გამოარკვევენ ამ ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას და იმედი გამოსთქვა, რომ პარტიული ორგანიზაციები მათ მხარს დაუჭერენ.

**პალესტინის საკითხი.**

კონფერენციამ გაარჩია რამოდენიმე კერძო საკითხი, დაავალა პარლამენტში მყოფ თავის წარმომადგენლებს მაღაროების ნაციონალიზაციის მოთხოვნა, შეეხო შინაურ ორგანიზაციულ საკითხებს და მოისმინა ებრაულ სოციალისტური პარტიის წარმომადგენლის პომერანის განცხადება, რომელიც სთხოვდა კონფერენციას მიიღოს ზომები, რათა ბრიტანეთის მთავრობამ გაუადვილოს ებრაელებს პალესტინაში გადასახლება. ეხლაც მათ აქვთ თავისი დამოუკიდებელი (ბრიტანეთის მანდატით) სახელმწიფო—კონფერენციამ მიიღო ეს განცხადება ერთხმად. შემდეგ გარჩეულ იქნა სხვადასხვა საკითხები და ბოლოს აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი.

**დასახრული.**

დასრულდა ეს შესანიშნავი წლიური კრება ძლიერი ბრიტანეთის მუშათა პარტიისა და როგორც ჩვენმა მკითხველმა დაინახა, მეტათ ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა. მას არ დაუტოვებია განუხილავი არც ერთი დიდი საკითხი, რომელიც დღეს ბრიტანეთის იმპერიას ეხება და რომელიც აინტერესებს მუშათა პარტიას. მას არ დაუტოვებია ისეთი საკითხებიც, რომელიც მას პირდაპირ არ ეხება, მაგრამ რომელსაც ადგილი აქვს კაცობრიობის ისტორიის მოძრაობაში.

ჩვენ შეგვიძლია სიხარულით შევხვდეთ ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ბრიტანეთის მუშათა პარტიის კონფერენციამ გამოიტანა და ვუსურვოთ მას ბრძოლაში გამარჯვება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ შეიძლება არ აინტერესებდეს თავისი უფროსი ძმის—ბრიტანეთის მუშათა პარტიის მოქმედება და მოღვაწეობა და თვალყურს უნდა ადევნებდეს მის ნაბიჯებს; მეორე მხრით არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტია უგულოთ მოეკიდება თავის პატარა ამხანაგს, საქართველოს მუშათა პარტიას, რომელიც აზიის კარებზე არაჩვეულებრივ ბრძოლას ეწევა თავის გადასარჩენად, ევროპისაკენ სასიარულოდ და დემოკრატიული რესპუბლიკის გზით საერთო საკაცობრიო იდეალებისაკენ სრბოლვას; არ შეიძლება უგულოთ მოეკიდოს იმ პატარა ხალხს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გარემოცული, საშინელ ჯოჯოხეთურ პირობებში ჩავარდნილი, თავდაუზოგველად იბრძვის თავისუფლებისათვის.—მაგრამ ბრიტანეთის მუშათა პარტიასთან ჯერ საქართველოს მუშათა პარტიის რეგულიარული დამოკიდებულება არა აქვს და ეს დიდი ნაკლია ჩვენთვის. იმედია, ჩქარა გამოსწორდება.

**ვიქტორ ნოზაძე.**

ლონდონი, 26 ივნისი.

## სკანდინავია და საქართველო

სკანდინავიაში მყოფი საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ა. ჰუმბაძე თფილისში დაბრუნდა. საქ. დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს ჰუმბაძემ სკანდინავიის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოსთან შემდეგნაირად დაახასიათა: ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ. ფაქტს, სთქვა ჰუმბაძემ,—რომ ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში საქართველოთი დაინტერესებულია მთელი ქვეყანა, მათ შორის, რასაკვირველია, შვეცია და ნორვეგიაც. კიდევ მეტი: შვეცია, ნორვეგია და დანიაეკუთვნის იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობა პირველად აღიარეს. კერძოდ, ჩემ მოვალეობას შეადგენდა გამეცნო სკანდინავიის ფართო საზოგადოებისათვის საქართველო. ამ მხრით ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ადგილობრივმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიას და კერძოთ საქართველოს: მის ისტორიას, ეტნოგრაფიას, პოლიტიკურ წყობილებას, სიმდიდრეს და სხვ. მაგრამ ამ ინტერესს ჯერჯერობით უფრო პლატონიური ხასიათი აქვს, კერძოთ სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. სკანდინავია და კერძოთ შვეცია ძლიერ ფრთხილია და ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ სკანდინავიის სავაჭრო წრეები ძლიერ დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ საქართველოსთან უშუამავლო სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავონ, ეს წრეები მაინც გაურბიან დღეს-დღეობით პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება იმ დრომდე, სანამ ევროპის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება. ასეთი დამოკიდებულება საკითხისადმი სრულიად ბუნებრივია, თუ მივიღებთ მხედველობაში მისვლა-მოსვლის სიძნელეს. შვეციას, ნორვეგიას და დანიას, ცხადია, არ შეეძლო აეცილებია თავიდან მსოფლიო ომის გავლენა. მსოფლიო ომმა ამ ქვეყნებშიაც მოახდინა გავლენა მრეწველობაზე უკანასკნელი ძლიერ შემცირდა. სკანდინავიის ქვეყნებს აღარ ჰქონდათ საკუთარი ნედლი მასალა. ეხლა კი იქ მრეწველობა თანდათან ცოცხლდება. შემდეგ აქაც ეტყობა მუშის შრომის ნაყოფიერების შემცირება. ამასთანავე ცხოვრება გაძვირებულია და საშუალო ხელფასი აღარ კმარა საშუალო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივია ამიტომ, რომ სკანდინავიის სახელმწიფოებს ამ ჟამად არ შეუძლიათ მიაწოდონ საქონელი უცხო ბაზარს,

თუმცა მათ ზოგიერთი საქონელი, მაგალითად ასანთი და სამეურნეო იარაღები ბლომათ მოეპოვებათ. ამ საქონლის გამოტანას ჯერ-ჯერობით ხელს უშლის მისვლა-მოსვლის მოუწყობლობა. სხვათა შორის, ჰუმბაძე იძლევა ზოგიერთ ცნობებს იმ ქართველ ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც სპეციალურ განათლების დასამთავრებლად საზღვარგარეთ გაიგზავნა. ეს ახალგაზრდობა ცხოვრობს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში და სხ. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი სიძვირეა და ის ფული, რომელსაც იღებენ, მათ არ ყოფნით, ეს ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებში მაინც გულდასმით მეცადინეობს. (სდს).

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**მუშათა ხელფასის ნორმები.** ნოვოროსიისკში მოხდა შავ ზღვის გუბერნიის წყლის ტრანსპორტზე მომუშავეთა კონფერენცია. კონფერენციაზე, სხვათა შორის, ვრცელი მოხსენება გააკეთა სატარიფო პოლიტიკის შესახებ კარასევმა. მომხსენებელი შეეხო იმ მიზეზებს, რამაც საბჭოთა მთავრობა აიძულა შეემცირებია მუშებისათვის ხელფასი. იგი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ერთად ერთი საშუალებაა სპეკულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება სატარიფო პოლიტიკის შესახებ, კონფერენცია მიესალმება დასახელებულ პოლიტიკას და აღიარებს, რომ თანამედროვე ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის პირობებში ჯამაგირის მომატებას არ შეუძლია გამოიყვანოს მშრომელი მასსა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობიდან; ამიტომ კონფერენცია არსებულ წესს თვლის სამუშაო ხელფასის ნორმების დაწესების ერთადერთ სწორ პოლიტიკათ". („კრას. ჩერ." № 94).

## ოფიციალური განცხადება

**საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისა.**

გაზეთ „პრავდა"-ში 15 ივლისის ნომერში მოთავსებულია შენიშვნა ლ. სოსნოვსკის ხელის მოწერით შემდეგი სათაურით; „რაზე ეფუჩუნებიან ჩვენს მტრებს". „პრავდა" ეყრდნობა რა გაზეთ „ახალი რუსული ცხოვრებას", იტყობინება, რომ თითქოს საქართველოს კონსულმა ბარამიძემ ინახულა გენერალი ვრანგელი და მიესალმა მას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ ბარამიძე საქართველოს კონსულად არც ყოფილა და არც ამ ჟამად არის. საქართველოს მთავრობას ის კონსულის თანამდებობაზე არასოდეს არ დაუნიშნავს და, ცხადია, საქართველოს მთავრობის სახელით ის ვერ წარუდგებოდა ვერც გენერალ ვრანგელს და ვერც სხვა ვინმეს.

## საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

4 აგვისტო.

**პარიზი.** 8 ივლ. „ტანი" იუწყება: კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობით მუსტაფა ქემალს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ლენინთან, რომელთანაც იგი იმუშავებს საბჭოთა მთავრობის მცირე აზიის საქმეებში ჩარევის გეგმას. ესკი-შერში დაარსდა მუსლიმან ბოლშევიკების კომიტეტი. იგივე გაზეთი გადმოგვცემს: მოსკოვში გაიგზავნა ქემალისტთა საგანგებო დელეგაცია ხალილ ფაშის მეთაურობით. ეს დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა მთავრობასთან.

**პარიზი.** ივლ. 22. დეპუტატთა პალატამ სპეკულიაციასთან მებრძოლ კომისიასთან დაარსა ქვეკომისია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს საკანტროლო ორგანოს და ყურადღებას აქცევდეს ამ დარგში ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

**პარიზი.** ბრიუსელის გაზეთ „ნასიონ ბოლჟის" თანამშრომლებთან საუბრის დროს მარშალმა ფოშმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება საფრანგეთსა და ბელგიის შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ მალე დამთავრდება. შეკითხვაზე, რომ არ გამოიწვევს ეს უთანხმოებას ინგლისის მხრით, ფოშმა განაცხადა, ხომ ინგლისი არ დარჩება უკმაყოფილო, ვინაიდან ის კარგათ იცნობს ურთიერთ დაზღვევის მექანიზმს. ამ ჟამად საფრანგენთს ვერავინ დასწამებს იმპერიალიზმით გატაცებას. დამოუკიდებელი ქვეყნები ომს მძულვარებით ხვდებიან მაშინაც კი, როდესაც მას გამარჯვება მოაქვს. მაგრამ საფრანგეთმა ყოველგვარი ზომა უნდა იხმაროს, რომ მოსალოდნელი გერმანიის საშიშროება თავიდან აიშოროს. ერთად ერთი სიმაგრე ამ აზრით არის რეინი. ამ თვალსაზრისით კავშირი საფრანგეთსა და ბელგიას შორის აუცილებელია, ვინაიდან ორივე სახელმწიფო ცალკ-ცალკე აღებული, გერმანიაზე უფრო სუსტია. დასასრულ ფოშმა განაცხადა: გერმანიის ხალხს არ სურს ომი, მაგრამ 60 მილიონი ადამიანი, რომელიც გერმანიაში სცხოვრობს, ყოველთვის 60 მილ. გერმანელათ დარჩება. სწორედ ამაშია მთელი საშიშროება, ჩვენ შეგვიძლია გავაფუჭოთ ზარბაზნები, მაგრამ გერმანელები ახალს გააკეთებენ.

**ლონდონი.** „ტაიმსი" აქვეყნებს სმირნიდან მოსულ დეპეშას, რომელიც იტალიისა და ბერძნების ჯარის ნაწილებს შორის აილინის რკინის გზის ახლო მომხდარ შეტაკებას ეხება. შეტაკების მიზეზი იყო ის, რომ ბერძნებმა დაიკავეს ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც იტალიის ოკუპაციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიზეზი ამ ტერიტორიის ჭერისა იყო დაცვა რკინის გზისა, რომელსაც ოსმალთა ბანდები ეცემოდენ. იტალიელების მოთხოვნაზე, რომ დაეცალათ ეს ადგილი, ბერძნებმა უარით უპასუხეს, რის შემდეგაც იტალიელებმა სროლა ასტეხეს. სროლის შემდეგ ორივე მხრივ აღმოჩნდა რამდენიმე მკვდარი და დაჭრილი. ბერძნებმა შეინარჩუნეს დაკავებული ადგილები. საბერძნეთის მმართველი პირები კატეგორიულად მოითხოვენ მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები აილინის რკინის გზის ხაზის დასაცავად, ვინაიდან ამაზე არის დამოკიდებული ამ რაიონში დაბანაკებული საბერძნეთისა და ინგლისის ძალების მშვიდობიანობა.

**პარიზი.** ივლ. 14 ჟურნალი „დე-დება" შემდეგ დეპეშას ათავსებს: ვარშავა, 13 ივლ. პოლონეთის პრესა გადმოგვცემს პოლონეთის მთავრობისა და რუსულ დემოკრატიულ პარტიის შეთანხმების შესახებ. ამ დემოკრატიულ პარტიაში შედიან: სახელმწიფო სათათბიროს წევრები, მეცნიერები და მწერლები. მათ შორის როდიჩევი, სავინკოვი და მერეჟკოვსკი. ამ ჯგუფმა რუსებსა და პოლონელებს მიმართა მოწოდებით, რომ შეერთებულად იბრძოლონ რუსეთის დამღუპველთა წინააღმდეგ, რომელნიც ახლა ცდილობენ პოლონეთის დამარცხებას; იწვევენ რუსეთისა და პოლონეთის ხალხს შეკრან საუკუნო კავშირი.

**ბერლინი.** 29 ივლ. სენ-მარტინში იტალიის წარმომადგენელს დ-რ სიმონთან სერიოზული ლაპარაკი ჰქონდა. დასახულ მიზანში ადგილობრივი პრესა იტალია-გერმანიის დაახლოვებას ხედავს.

**პარიზი.** 30 ივლ. დეპუტატთა პალატაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პროექტი შეიტანა გერმანულ მუშათა სასურსათო საჭიროებისათვის ავანსის მიცემის შესახებ. ამით სურთ გააძლიერონ გერმანელ მუშათა შრომის ნაყოფიერება იმ ნახშირის შოვაში, რომელიც საფრანგეთს უნდა გადასცენ. 356 ხმით 169-ის წინააღმდეგ მილიერანის პროექტი მიიღეს.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 აგვისტო.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

აგვისტოს 3. ბელოსტოკის და ბელსკის დასავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება ჩვენ სასარგებლოთ.

**მესამე ინტერნაციონალი.**

(დასაწყისი დამახინჯებულია) განიხილა რა ევროპის პარლამენტთა ფრაქციების შემადგენლობა და მუშაობა, ბუხარინმა აღნიშნა, რომ ისინი ცოტათ თუ ბევრათ (დამახინჯებულია) რევოლიუციონურათ განწყობილი მუშები სრულებით უარყოფენ პარლამენტში მონაწილეობის მიღებას და პარლამენტის რევოლიუციონურად გამოყენების გარანტია იქნება შექმნა კომუნისტურ ფრაქციებისა, რომლებიც გაწმენდილი იქნება შეთანხმების ტერმინებისაგან. ასეთი ფრაქციები გამოდგება დანგრევის იარაღათ (დამახინჯებულია)..

**ლტოლვილი რუსები.**

კონსტანტინეპოლიდან ბოსფორზე გაირა საფრანგეთის 3 გემმა 4000 რუსით, რომელნიც საფრანგეთიდან სამშობლოში ბრუნდებიან.

**ინგლისი და ბალტიის მხრის სახელმწიფოები.**

**ლონდონი.** პალატის საგარეო საქმეთა მდივანმა შეკითხვაზე განაცხადა, რომ ფინეთის, ლიტვისა და... (დამახინჯებულია)... მთავრობებმა ლონდონში საზავო მოლაპარაკებაში მონაწილების მიღებაზე უარი განაცხადეს. ინგლისის მთავრობას გენერალ ვრანგელთან მოლაპარაკება ჯერ არ დაუწყია.

**გენ. ფოში პოლონეთში.**

**ამსტერდამი.** ივლისის 29. გენ. ფოში პარიზში ბრუნდება პოლონეთის დახმარების ახალი გეგმის გამოსამუშავებლად.

**გენ. ვრანგელის მთავრობა.**

**პოლოცკი.** აგვ. 3. ვრანგელის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი სტრუვე თავის დეკლარაციაში აცხადებს: საჭიროა საბჭოთა და ანტი-ბოლშევიკების მიერ დაჭერილ ტერიტორიის სისწრაფით განსაზღვრა და შექმნა რუსეთის ორივე ნახევარისთვის სათანადო საარსებო პირობებისაო. საზღვარ გარეთელი პრესა ამას იხილავს, როგორც დენიკინის მოსკოვზე წასვლის გეგმის უარყოფას.

**პოლონეთთან ზავისთვის.**

**ლიონი.** ივლ. 29. ბულონის კონფერენციაზე გადაწყდა ლონდონში მოლაპარაკების დროს მოეთხოვოს საბჭოთა მთავრობას პოლონეთთან ზავის პირობების გაგრძელება.

**სურსათის სიმცირის ნიადაგზე.**

საქსონიის ქალ. ციტაში სურსათის სიმცირის ნიადაგზე დაიწყო მღელვარება. ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს კომუნისტებმა.

**ფრანგული ცნობები.**

**პოლონეთის ჯარი და დროებითი ზავი,**

პოლონეთში ჯარის რეორგანიზაცია გრძელდება. დროებითი ზავის შესაკრავად მოლაპარაკება სწარმოებს.

**საზავო მოლაპარაკებისათვის.**

მოსკოვიდან მოსული რადიო დეპეშის თანახმად ბოლშევიკები ფიქრობენ, რომ პოლონეთის რწმუნებულებს უნდა ექნეს მანდატი არა მარტო ზავის უმთავრეს პირობებზე ხელის მოწერისა... (გამოტოვებულია)... დაბრუნდენ ვარშავაში, რათა ეს საკითხი განსახილველად პოლონეთის მთავრობას წარუდგინონ.

ლოიდ ჯორჯი უარს აცხადებს კამენევისა და კრასინის მიღებაზე მანამ, სანამ პოლონელებთან დროებითი ზავი არ იქნება დადებული.

**ბირჟაზე.**

**კოკუზანის სააგენტო. მარსელი.** აგვ. 3. ბრინჯი—175, მუხუდო—110, კარტოფ. ფქვილი—125. **გავრი.** აგვ. 2. აგვისტოს ბამბა—646, სექტემბრის—616, ოქტომბრის—59. **ლიონი.** აგვ. 3. სევენის აბრეშუმი—225, იტალიის—235, სირიის—200, იაპონიის—200, ჩინეთის—250, კანტონის—180.

ბირჟის კურსი: ლონდონი—$49.09\frac{1}{2}$, ნიუ-იორკი—$13,32\frac{1}{2}$, ბელგია—106 3/[illegible], იტალია—$69\frac{1}{2}$, პრაგა—(დამახინჯებულია) რუმინეთი—$32\frac{3}{4}$, შვეიცარი—224.

**დუნაის ადმინისტრატიული მართველობა.**

საერთაშორისო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დუნაის ადმინისტრატიული მართველობის ფორმის გამორკვევა ორშაბათს საფრანგეთის ელჩის პალეოლოგის თავმჯდომარეობით შეიკრიბა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებს დუნაის ნაოსნობით დაინტერესებული 12 სახელმწიფო: ბელგია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, იტალია, რუმინეთი, სერბია-კროატია - სლოვაკია, ჩეხო-სლოვაკია გერმანია (ბავარია და ვიურტემბერგი) ავსტრია, ბულგარეთი და უნგრეთი. გარდა რწმუნებულებისა მონაწილეობას იღებენ ექსპერტები. საფრანგეთის ელჩი რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიესალმა უცხოელ დელეგატებს და გამოთქვა სურვილი, რომ დუნაიმ კონფერენციისაგან მიიღოს თავისუფალი რეგულამენტაცია, რომელიც მის ეკონომიურ მნიშვნელობას შეეფერება. შემდეგ კონფერენციამ თავმჯდომარეთ აირჩია საფრანგეთის რწმუნებული ლეგრანი. თავმჯდომარის ამხანაგათ რუმინეთის რწმუნებული სტელიანი. სეკრეტარიატმა გამოირკვია თავისი მუშაობის წესრიგი და შემდეგი სხდომა აგვ. 4 დანიშნა.

**ჟენევის სოციალისტური კონგრესი.**

ჟენევის სოციალისტურ კონგრესზე გადაწყვეტილი იყო კონგრეზე არ დაეშვათ ფრანგი სოციალისტები. შემდეგ კომისია დასთანხმდა მათ მიღებაზე.

**გერმანული ცნობები.**

**ოსმალეთის საკითხი.**

(დასაწყისი არაა მიღებული)... ანგორაში დიდმა საბჭომ გადაწყვიტა ომის გაგრძელება მანამდის, სანამ სამშობლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი არ იქნება. ოსმალეთში არ მომხდარა მობილიზაცია დროებით ზავის ჩამოგდების დროიდან, მაგრამ ეხლა მუსტაფა-ქემალ-ფაშამ გამოაცხადა საერთო მობილიზაცია და თავისი ძალები მშვენივრათ მოაწყო. აქედან სჩანს, რომ ომი გაგრძელდება. რუსეთმა და ინგლისმა ზავიც რომ შეკრან, ოსმალეთი ომს მაინც განაგრძობს. თუ ევროპის იმპერიალისტებსა და რუსეთს შორის მომავალში შეთანხმება მოხდება, ოსმალეთის მამამადიანები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მაინც ბრძოლას განაგრძობენ.

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი.**

**აბსენტეიზმი.**

**კერჩი.** 24 ივლისი. თეთრ გვარდიელთა გაზ. „რუსკოე დელო" სიმფეროპოლის ქალაქის საბჭოდან ხმოსან ზენოვის გასვლის გამო სწერს:

„ხმოსნობაზე უარის განცხადება მასიურ ხასიათს ღებულობს. ახალი ხმოსნები ისევ არ ესწრებიან სხდომებს, როგორც ძველი ხმოსნები".

**მოლაპარაკება პოლონეთთან.**

**მოსკოვი.** 3 აგვისტო. იმის შემდეგ, რაც რუსეთმა არ მიიღო ინგლისის შუამავლობა, პოლონეთის მთავრობა შეეკითხა რუსეთს, თანახმაა თუ არა იგი დაუყოვნებლივ ჩამოგდებულ იქნას დროებითი ზავი და დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთს ფრონტის ხაზზე გამოეგზავნა სრულუფლებიანი წარმომადგენლები. 30 ივლისს პოლონეთის დელეგაციამ რუსეთის რწმუნებულებს წარუდგინა პოლონეთის სარდლობის მანდატები მხოლოდ დროებითი ზავზე მოსალაპარაკებლად. რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ პოლონეთის პირველ წინადადების თანახმად საჭირო მოსალოდნელი იყო არამც თუ მარტო დროებითი ზავის პირობებზე ხელის მოწერა, არამედ,—საზავო პირობების წამოყენებაც, ურომლისოდაც შეუძლებელია დროებითი ზავი, რის გამოც პოლონეთის დელეგაციამ უნდა მიმართოს თავის მთავრობას მანდატის გამოსაგზავნათ, რომ 4 აგვისტოს შესაძლებელი გახდეს სრულ უფლებიან დელეგაციების შეხვედრა. პოლონეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იძულებულია ვარშავაში დაბრუნდეს, რათა ეს საკითხი მთავრობას გადასცეს გადასაწყვეტათ.

**ბულგარეთის ნეიტრალიტეტი.**

**სტამბოლი.** 24 ივლისი. „ბოსფორი" იუწყება, რომ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ბულგარეთს სურს ნეიტრალური დარჩეს იმ ამბებში, რომელიც ეხლა ფრაკიაში ხდებაო.

## სომხეთი და რუსეთი

საქართველოში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბ-ნ ბეკზადიანმა ერევნიდან საგ. საქ. მინისტრ ოგანჯანიანისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გუშინ სომხეთის ჯარის უფროსმა, რომელსაც უჭირავს შახტახტის რაიონი ნახიჩევანიდან შემდეგი ქაღალდი მიიღო: „1920 წ. ივლ. 28. რ. ს. ფ. რესპუბლიკისა და ჩვენი მოკავშირე ოსმალეთის წითელი ჯარი გაცემული ბრძანების თანახმად შევიდენ მცხოვრებთა მიერ სრულიად მიტოვებულ ქალ. ნახიჩევანში და მის რაიონში ისე, რომ სომხეთის წინააღმდეგ არავითარი სამხედრო მოქმედების მიზანი არ ქონიათ. მიღებული ცნობებით თქვენი ჯარი ფიქრობს ნახიჩევანზე შეტევას ცეცხლით და მახვილით მის განადგურებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და უმიზნო სისხლის დაქცევის ასაცდენად, გაუწყებთ ჩვენ მიერ ნახიჩევანისა და მისი რაიონის დაჭერის შესახებ. 1920 წ. № 30 № 62 ქ. ნახიჩევანში სარდალი რ. ს. ფ. რ. და წითელი ოსმალეთის გაერთიანებული ჯარის, რომელსაც უჭირავს ნახიჩევანი და მისი მიდამოები,—თარხანოვი". ამასთანავე ერევნიდან იუწყებიან აგვისტოს 3 გამოგზავნილი დეპეშის შესახებ: საბჭოთა მე-2 არმიის სარდლისაგან დღეს ადერბეიჯანის წინააღმდეგ მებრძოლ სომხეთის ჯარის სარდალმა შემდეგი ულტიმატუმი მიიღო: მიღებულია აგვისტოს 1. 22 ს. 30 წ. საბჭოთა სოციალისტურ ადერბეიჯანის წინააღმდეგ მებრძოლ სომხეთის ჯარის სარდლობას. ბაქო. აგვ. 1. 1920 წ. ზანგეზურის და ნახიჩევანის მაზრებში სომხებსა, თათრებსა და თურქებს შორის ხოცვა-ჟლეტაა. ამის შედეგია უბედური და დაუცავი ღატაკი ხალხის ოჯახთა განადგურება.

ნადგურდება მთელი სოფლები და ათასობით უსახლკაროდ რჩება გლეხობა. ამ მაზრებში უთანხმოებათა მოსასპობათ და მშვიდობიანობის დასამყარებლათ ჩვენ შევიყვანეთ წითელი ჯარები, რომელთაც მიაქვთ მაზრის ყველა მშრომელთათვის დროშა მშვიდობიანობისა. ამავე დროს თქვენ აქტიური მოქმედებას იწყებთ ჩვენი ჯარების წინააღმდეგ, რითაც იწვევთ მათ საბრძოლველად. ჩვენ ჯარს არ უნდა სამხედრო მოქმედება დაიწყოს სომხეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ თქვენ დაუყოვნებლივ არ მიიღებთ ზომებს თქვენი ჯარების აქტიური მოქმედების შესაწყვეტათ, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით მივიღოთ თქვენი გამოწვევა, რომელსაც ჩვენ თქვენთვის გამანადგურებელი შემოტევით ვუპასუხებთ. პასუხს ველით აგვისტოს 3-სთვის. ამ დროისათვის უნდა შესწყდეს აქტიურ მოქმედებანი. საბჭოთა მე-11 წითელი ჯარის სარდალი ვასილენკო, სამხ. რევ. საბჭოს წევრი ლუკინი. წითლების წარმომადგენლები პასუხს ელიან ჩვენ საზღვარზე.

**სომხეთის პროტესტი.**

საქართველოში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა მისიამ სომხეთის საგ. საქ. მინისტრის ოგანჯანიანისაგან მიიღო პირი იმ პროტესტისა, რომელიც მან საბჭოთა ჯარების მოქმედების წინააღმდეგ განაცხადა. პროტესტში ნათქვამია: ამ გვარ მოქმედებას სომხეთის ხალხი უცქერის, როგორც მუსავატელების ძველი გეგმის რეალიზაციას, რომელთაც სურდათ სომხეთის ცოცხალ სხეულზე გადავლით იმპერიალისტურ ოსმალეთთან შეერთება. დასასრულ ოგანჯანიანი აცხადებს, რომ სომხეთის მთავრობა მზათ არის მიესალმოს ზავის საჩქაროთ შეკვრას, მაგრამ უფლება აქვს მოითხოვოს შეწყვეტილ იქნას სომხეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება, გამოიყვანონ საბჭოთა ჯარები სომხეთის ტერიტორიიდან და მისცენ სომხეთს საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად აუცილებელი გარანტიები (სდს.)

## ტფილის სააგენტოს ცნობა

**პარიზი.** აგ. 3. „ჟურნალი" იუწყება ოსმალეთის დელეგაცია ხუთშაბათს ხელს მოაწერს ხელშეკრულებასო.

**ბერლინი.** გაზეთები გვაუწყებენ: პოლონეთის რაზმი, რომელსაც რუსეთის ცხენოსანთა რაზმი მისდევდა გერმანიის საზღვარს გასცდა შნიმნიცის დასავლეთით. მას დაუყოვნებლივ იარაღი აჰყარეს. „ფოსიშე ცაიტუნგი" გვაცნობებს: რუსეთის ავანგარდები უახლოვდებიან პრუსიის საზღვარს, მაგრამ მასზე ჯერ არ გადასულანო. (სდს).

## ახალი ამბები

◆ **სურსათის შესყიდვა საზღვარგარეთ.** ამ მოკლე ხანში საზღვარ-გარეთ მიემგზავრება მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭანიძე. მას სურს საქართველოსთვის სურსათის შესყიდვა. მომარაგების სამინისტროს ცნობით მომავალ წლის მოსავალი, უეჭველია, მცხოვრებლების მოთხოვნილებას დაფარავს. პურის გაიაფება საეჭვოა, რადგანაც გლეხები პურზე ადებენ ფასს მათთვის საჭირო საგნების ფასებთან შეფარდებით. ამ საგნების გაიაფების მიზნით მომარაგების სამინისტრომ გადასწყვიტა მათი შეძენა. შესყიდვის ორგანიზაციისათვის საზღვარ-გარეთ მიემგზავრება ი. ჭავჭანიძე. შესყიდვისათვის საჭირო ვალიუტას მომარაგების სამინისტროს გადასცემს შავი ქვის ამხანაგობის კომიტეტი „ჩემო" იმ თანხიდან, რომელიც მისგან მომარაგების სამინისტროს ერგება. მომარაგების სამინისტროს წინადადებით საზღვარ-გარეთ პირველად ყოვლისა შემდეგი საქონელი და სურსათი უნდა შეისყიდონ: შაქარი, გლეხებისათვის საჭირო მანუფაქტურა, უმთავრესად კი ნარმა, ასანთი, ლურსმანი, თოკი, კედი, ფანჯრის შუშები, რაგოჯა (თამბაქოს შესახვევათ) სარეცხი საპონი, ძაფი, ქაღალდი, სხვადასხვა საკანცელარიო საგნები, სატელეგრაფო ლენტები და მრავალი სხვა. ჭავჭანიძე თფილისიდან აგვისტოს 10—12 გაემგზავრება.

◆ **დახმარება სახალხო გვარდიელების ოჯახებს.** ქალაქთა კავშირმა სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის იმ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ, რომლებიც აზერბეიჯანის ფრონტზე დაიღუპნენ, 10.000 მან. გადასდო.

◆ **ავიაციის დღესასწაული.** აგვისტოს 2 ავიაციის როტის ოფიცრებმა ჰაეროდრომში ავიაციის დღესასწაული მოაწყვეს. დღესასწაულს დაესწრენ: მთავრობის მოადგილე ე. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთათიძე, თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, დამფ კრების ფრაქციის წარმომადგენლები, გენ. შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე, გენ. ანდრონიკოვი, ვალ. ჯუღელი, გენ. ქუთათელაძე და სხვ. ავიაციის ვარჯიშობაში მონაწილეობა მიიღეს იმ მფრინავებმა, რომლებმაც საავიაციო შკოლა ამ მოკლე ხანში დაასრულეს. ფრენა 12 აპარატზე სწარმოებდა. ფრენა დილის 5 საათიდან დაიწყო. შემდეგ შესრულეს საჰაერო ფრენის რთული ფიგურები. ფრენის დასასრულს ევ. გეგეჭკორმა და გრ. ლორთქიფანიძემ საავიაციო როტის კომანდირის მოვალეობის აღმასრულებელს მაყაშვილს მიულოცეს. საღამოს გაიმართა ვახშამი, სადაც მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს და რესპუბლიკის ჯარს და ხელმძღვანელებს კეთილდღეობა და გამარჯვება უსურვეს. სხვათა შორის სახალხო გვარდიის შტაბის უფროსმა ვ. ჯუღელმა სთქვა: საქართველოს ჯარი და გვარდია არავის არ ესხმის თავს, მაგრამ არც არავის ნებდება. ჯარის დევიზია: გამარჯვება ან სიკვდილი. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს გენ. ზაქარიაძემ და სხვებმა.

◆ **თავდაცვის საბჭოს დადგენილება.** თავდაცვის საბჭომ მოხალისეთა ოჯახებისადმი დახმარების აღმოჩენის საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა: მოხალისეთა ოჯახებს აღმოეჩინოთ დახმარება იმავე წესით, როგორითაც მობილიზაციის წესით გაწვეულ ოჯახებს აძლევენ.

◆ **ცეცხლი აბრეშუმის პარკის საშრობში.** ხონის აბრეშუმის პარკის დამამზადებელი მთავარ რწმუნებულისაგან მომარაგების სამინისტროში ტელეგრაფით ცნობა მიიღეს ხონში ბალანჩივაძის აბრეშუმის პარკის საშრობში ცეცხლის გაჩენის შესახებ. საშრობი იჯარით ჰქონდა აღებული კოოპერატივსა და საკრედიტო ამხანაგობას. დაიწვა 1.619 ფ. პარკი ამ ორგანიზაციების მიერ ნაყიდი. კერძო პირების ზარალი დიდია.

◆ **შეშა.** ქალაქთა კავშირი შეშის დამზადებას შეუდგა. დამზადება სწარმოებს სამ რაიონში: მიწად-მოქმედების კუთვნილ ტყის ნაწილებში, ყარაიაზში შიხლინის აგარაკში. სექტემბრიდან განზრახულია ყოველ თვეში 300 კუბ. საჟენი მიიღონ. ამასთანავე შეშის დამზადება სწარმოებს დასავლეთ საქართველოში და შორაპნის მაზრაში.

◆ **განკარგულება რკინის გზებზე.** რკინის გზების უფროსმა რკინის გზის ყველა მოსამსახურეს წინადადება მისცა მიიღონ ზომები რკინის გზებზე ყალბი ბილეთებით მგზავრობის წინააღმდეგ. ამასთანავე გაიცა განკარგულება გამოაკრან რკინის გზებზე შემდეგი განცხადება: „შენიშნულია, რომ ვიღაც პირები მგზავრებზე რკინის გზის ყალბ ბილეთებს აყიდიან. ყველას, ვისაც კონტროლის უფლება აქვს, წინადადება ეძლევა გულდასმით გასინჯოს ბილეთები და ყალბი ბილეთის მქონე პირი მილიციას გადასცეს. რაიონის უფროსებს ევალებათ ბილეთების კასებთან თვალყურის დევნება. თუ ვინმე კასის გარეშე ბილეთს გაყიდის, უნდა დააპატიმრონ როგორც გამყიდველი, ისე ბილეთის მყიდველი. აგრეთვე უნდა დააპატიმრონ ის მგზავრებიც, რომლებსაც მატარებელში ყალბი ბილეთი აღმოაჩნდებათ.

◆ **ვალიუტა.** „ჩემო" იუწყება, რომ მან ერთი კვირის განმავლობაში ივლისის 24—30 მდე მთავრობას უცხო ვალიუტით გადასცა: 42.000 გირ. სტერ., ე. ი. 84 მილ. მანეთი და აგრეთვე 240.000 ფრანკი.

◆ **დახმარება დასახიჩრებულ ჯარისკაცებს.** ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტმა დაადგინა დასახიჩრებულ ჯარისკაცების საჭიროებისათვის შეიძინოს ავტომობილი.

◆ **სკოლების შეკეთება.** აგვისტოს 3 სხდომაზე თფილისის თვითმართველობამ დაადგინა: სკოლების შესაკეთებლად გადასდოს 1.145,742 მან. კომისარიატების და სამკურნალო შენობების შესაკეთებლად—1.773,606 მან.

◆ **სტატისტიკურ კომიტეტში.** მიწად-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ კომიტეტის გამგის მოვალეობის აღმასრულებლად დროებით მანდილშტამის მაგივრად, რომელიც სხვაგან გაემგზავრა, დ. ივანოვი დაინიშნა.

◆ **თფილისის ოს მუშათა ყრილობის** მიმართვის გამო ოსეთში რეპრესიების შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებლები, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გასცა შემდეგი განკარგულება: ეხლავე მიეწეროს მაზრის ხელისუფროსს, რომ დაუყოვნებლივ შეაჩერონ ადგილობრივ მცხოვრებთა თვითნებობა, რომელიც მიმართულია ოსების წინააღმდეგ: მთავრობის ინსტრუქციები უნდა შეასრულონ მთავრობისა და ერობების აგენტებმა და კერძო მოქალაქენი არ უნდა გამოდიოდნენ გამკითხავთა როლში".

◆ **მომარაგების ფონდში ჩარიცხვა.** შრომის სამინისტრომ აუხსნა სოხუმის შრომის კომისარს: 1) ის ამორჩეული პირები, რომელნიც მსახურობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, უნდა ჩაირიცხონ მომარაგების ფონდში. ამავე პირთ კერძო დაწესებულებებში არა აქვთ ნება ისარგებლონ მომარაგების ფონდის სურსათით. 2) ის პირნი, რომელთაც არა ყავთ განსაზღვრული დამქირავებელი და სურთ მომარაგების ფონდში 1000 მან. შეტანა, არ შეიძლება ჩაირიცხონ მომარაგების ფონდში. 3) მუშათა არტელები შეიძლება ჩაირიცხონ ფონდში ფულის წინასწარ შეუტანლობით მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ მისცემენ სურსათს იმ ფასში, რაც თვითონ უჯდება.

**გთხოვენ დავბეჭდოთ:**

გამოვიდა ახალი წიგნი—დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის გამოცემა:—**ბოლშევიზმი და დემოკრატიზმი.** წიგნაკში შეპარულა შემდეგი შეცდომები:

| გვ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|
| 22: | რევოლიუციონური რიცხვით | რევოლიუციონური რისხვით. |
| 25: | უფრო უკეთ გაიმარჯვებს | უფრო გაიმარჯვებს. |
| 38: | მუშათა მობრაობა | მუშათა მოძრაობა. |
| იქვე: | რომელშიც ერიდებიან | რომლებიც ერიდებიან. |
| 40: | მცირე პატარა ნაწილს | მეტად პატარა ნაწილს. |
| 41: | სუტია | სუსტია. |
| იქვე: | ძველი დედამიწის | მთელი დედამიწის. |
| 44: | აქ იმდემათ | აქ იმდენათ. |
| 45—46: | ჯერ პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატიის თავისუფლება | ჯერ პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატიის განვითარება. |
| 53: | უფრო არ მინდაო | უფრო არ გვინდაო. |

## ბათომი

**ბათომი,** აგვ. 3. აქ მოსული ცნობებით რიზეში მოვიდა ოსმალეთის ქვეითა ჯარის ბათალიონი. ამავე დროს ქალაქში შესდგა ჩეტნიკებისა და სედაი მილეთელების შტაბი. ნავთსადგურში ცხოვრება ჩაკვდა. რიზესა და მაპავრის შუა გაჩნდნენ ყაჩაღები, რომლებიც თავს ესხმიან ტრაპიზონიდან გამოსულ ფქვილით დატვირთულ მატორებს. ქალაქის კომენდანტმა გაგზავნა ოსმალთა რაზმები ბრბოების აღმოსაჩენათ და დასაჭერათ.

**ბათომი.** აგვ. 4. ინგლისის რადიომ დაიჭირა გენ. ვრანგელის ოფიციალური ცნობა ივლ. 27 თარიღით: მარიუპოლის რაიონში საბჭოთა მსროლელების მე-4 დივიზია სრულიად განადგურებულია, წამოყვანილია 1000-ზე მეტი ტყვე. ხელთ ვიგდეთ 7 ზარბაზანი და სხვა სამხედრო მასალები. პოლოგის რაიონში წითლების ყველა იერიში მოვიგერიეთ. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ორეხოვო ალექსანდროვსკის რაიონში წითელ ჯარებთან ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება

ლოიდ ჯორჯმა მიიღო რა უნიონისტების ლიდერთა დეპუტაცია ირლანდიის საკითხის გარჩევის დროს, განაცხადა: ბილი, რომელიც ამ მოკლე ხანში წარედგინება განსახილველად თემთა პალატას და რომელიც ირლანდიაში კანონების დაცვას და განმტკიცებას ეხება, მეტად მკაცრი იქნება. ბრიტანეთის მთავრობა მზათ არის ყოველგვარ სამართლიან დათმობაზე წავიდეს, მაგრამ უკიდურეს მუშების ლიდერებს კი არ დაუთმობს. მთავრობა უკიდურეს ელემენტებს არჩევს გონიერ და ზომიერ მუშების უმრავლესობას. ყველამ უნდა გაიგოს, რომ კანონს უნდა დაემორჩილონ. მთავრობა არ დაეთანხმება არც ისეთ წინადადებას, რომელიც ინგლისის მეზობლათ მტრულად განწყობილი ქვეყანას დასტოვებს. დიდი ბრიტანეთი საკვეყნო გამარჯვების შემდეგ არ მისცემს არავის უფლებას, რომ მას შემოარტყან შეთქმულების რკალი, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი: რუსეთიდან, თუ ამერიკიდან.

ღამით აგვისტოს 3 მოჰკლეს ბათომში მყოფ სომხეთის გენერალური საელჩოს მოსამსახურე ხან-ამიროვი. რამოდენიმე დღის წინად ამიროვი ცუდი ყოფა-ქცევისათვის დაითხოვა საკონსულომ. ამის შემდეგ ამიროვი თვრებოდა და ისროდა ქუჩებში. აგვისტოს 3 მან ესროლა მილიციონერს, საპასუხო სროლით ამიროვი მოკლულ იქნა. მკვლელობის ადგილზე მოვიდა საგანგებო კომისარი, სომხეთის ელჩი და სხვები. საპროკურორო ზედამხედველობამ ადგილობრივ გამოარკვია მკვლელობის მიზეზები.

**ბათომი** (საკ. კორესპ.) თანახმად მიღებულ ცნობებისა, უცხოელი ექსპორტიორები ძლიერ დაინტერესებული არიან გაეცნონ საქართველოში და კერძოთ ბათომის ნავთსადგურში საქონლის შემოტანის პირობებს. ამიტომ ექსპორტიორებმა ოფიციალურ წრეებს შეკითხვით მიმართეს: როგორი გარანტია არსებობს იმისა, რომ შემოტანილ საქონელს რეკვიზიციას არ უზამენო და გვექნება თუ არა საშუალება რესპუბლიკის საზღვრებში ამ საქონლის თავისუფალი გაყიდვისაო. უცხოელი კომერსანტები კითხულობენ შეზღუდულია თუ არა რესპუბლიკაში ვაჭრობის თავისუფლება, მაგ. ნიხრის სახით და თუ არსებობს, სახელდობრ, რომელ საქონელზე ვრცელდება იგი. უცხო კომერსანტებს აინტერესებთ აგრეთვე თუ რა ფორმალური პირობები უნდა შეასრულონ, რომ საქონელი შემოიტანონ ნავთსადგურში და სხვ. ავტორიტეტულ წრეებში იუწყებიან, რომ ამის საპასუხოდ გაკეთებული იქნება განცხადებაო. ეს განცხადება დაადასტურებს ყველა იმ სავალდებულო დადგენილებებს, რომლებიც გამოცემული იყო თავის დროზე ბათომის ოლქის განსაკუთრებულ კომისარის ბ. ჩხიკვიშვილის მიერ.

**ბათომი** აგვ. 4 (საკუთ. კორესპ.) ოლქის საგანგებო კომისარმა ჩხიკვიშვილმა ბრძანება გასცა ყველა საზოგადო სახლის დახურვის შესახებ. საზოგადო სახლის ყველა შემნახველნი და პროსტიტუტკები რესპუბლიკიდან უნდა განიდევნონ. ამათგან ისინი, ვინც საქართველოს ქვეშევრდომებია, უნდა გაიგზავნოს ეტაპით მუდმივ საცხოვრებელ ადგილას და მათზე უნდა დაწესდეს მილიციის ზედამხედველობა. თუ ერთი კვირის შემდეგ ასეთი პირი ქალაქში აღმოჩნდება,

მაშინ ის უნდა გაიყვანონ იძულებით სამუშაოზე: აკერინონ და არეცხინონ ტომრები, აგვევინონ ქუჩები და სხვა. ამისათვის ისინი ქალაქგარეთ ერთ ყაზარმაში უნდა მოაქციონ და ფულის მაგივრად მისცენ საზრდო. როდესაც ფარულ საზოგადო სახლის შემნახველთ აღმოაჩენენ, მათ დააპატიმრებენ და მათსავე ხარჯზე ასაზრდოებენ. მილიციის წევრები უნდა აწარმოებდენ აღნიშნულ პირთა რეგისტრაციას. სასტუმროებისა და სახლის პატრონებს იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძანება არ შეასრულეს, გადაახდევინებენ 25,000 მ. ჯარიმას, სახლს რეკვიზიციით წაართმევენ და დააპატიმრებენ. ბრძანება სისრულეში მოყავთ კომისრებს. იმ შემთხვევაში, თუ რაიონში ასეთი პირები იქნებიან აღმოჩენილნი, კომისრებს სამსახურიდან დაითხოვენ და დააპატიმრებენ. (სდს).

## სომხეთში.

**ოგანჯანიანის დეპეშა.** სომხეთის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოგანჯანიანმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ლ. შანტს: „27 ივლისის დეპეშის დამატებათ, რომელიც მოსკოვში ჩიჩერინისადმი იყო გაგზავნილი, ასლი კი თქვენ გამოგეგზავნათ, გატყობინებთ, რომ სომხეთის მთავრობა ეგებება რუსეთის საბჭოთა მთავრობის სურვილს და თანახმაა საზავო მოლაპარაკება გადატანილ იქნეს მოსკოვიდან სომხეთში. ამ მოლაპარაკებათა განგრძობას ლევრანის დელეგაციასთან სომხეთის მთავრობა გავალებთ თქვენ და თქვენი თავმჯდომარეობით შემდგარ დელეგაციის წევრებს. ამის გამო გთხოვთ თქვენ და დელეგაციის წევრებს საჩქაროთ ჩამობრძანდეთ ერევანში".

**სომხური პრესა ჩიჩერინის ნოტის შესახებ.** სომხური პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ჩიჩერინის 20 ივლისის ნოტას. ყველა მიმართულების გაზეთები ერთნაირათ აფასებენ ამ ორპირულ პოლიტიკას, რასაც ალაგი აქვს საბჭოთა რუსეთის სომხეთისადმი დამოკიდებულებაში. სხვა და სხვა მიმართულებების გაზეთები ერთხმად მოითხოვენ სომხეთის მთავრობისაგან არ შეუშვან ლევრანი სომხეთში, სანამ მთავრობა მოისმენდეს შანტის მოხსენებას და საბჭოთა მთავრობა ხელშეკრულებას დასდებდეს სომხეთთან.

**ერევანი.** აგვ. 3. სომხური პრესა იუწყება, რომ კუ-პის რაიონში და მის მოსაზღვრე ყაგიზმანის ოლქში თურქებისა და ადერბეიჯანელების აგენტები სომხეთის საწინააღმდეგო მოქმედებას ეწევიან. რამდენიმე დღის წინათ აქ შეტაკება მოხდა ქურთებს და ზეითუნის პოლკის ნაწილებს შორის. ამგვარივე მტრულ მოქმედებას ეწევიან სომხეთის წინააღმდეგ ყარსის ოლქის ბასის უბანში. აქ დაბანაკებულ სომხურ ჯარებს ებრძანა სომხეთისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან ტერიტორიის გაწმენდა.

კისკინ-ზადემ საბჭოთა მთავრობისაგან თავის ბრბოს შესანახად 3 მილიონი მანეთი მიიღო.

„არაჩი" იუწყება: ევროპიდან მოსული ცნობით საქართველოს დელეგაციას ევროპაში 5 მილიონი გირვ. სტერლინგის სესხი აუღია. (სდს).

„არაჩი" იუწყება: ადერბეიჯანის კომუნისტები ზომებს იღებენ მუსულმანთა არმიის შესადგენად. მოსაწვევი ადგილები იქნება განჯაში, ზაქათალის ოლქში, ყარაბახში და სხ. რუსეთის და ადერბეიჯანის ყველა მუსულმანთა მიმართ გამოუშვეს მოწოდება, რომელშიც მოუწოდებენ მათ მონაწილეობა მიიღონ ოსმალეთის „საღვთო ომში". ამ საქმის სათავეში სდგას ხალილ-ფაშა და აზერბეიჯანის აფიცრები. ოსმალთა რაზმების შედგენის შემდეგ გააგზავნიან მცირე აზიაში ქემალისტების დასახმარებლად. ბაქოს კომუნისტებს ჰგონიათ, რომ ეს რაზმები 2—3 თვეში მოეწყობა. შემუშავებულია სამხედრო გეგმა, რომლის თანახმად ამ ჯარმა სომხეთის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს. ამავე ცნობებით გადადებულია უამრავი ფული ოსმალეთში და სპარსეთში გადატრიალების მოსაწყობათ და იქ საბჭოთა მთავრობის გამოსაცხადებლად. გადაწყვეტილია ფარული აგიტაცია აწარმოონ სომხეთში საბჭოთა მთავრობის გამოსაცხადებლად. ამ მიზნისათვის ბაქოში თავს იყრის აყარებელი სომეხი კომუნისტი, მათ რიცხვში 16 წლის ახალგაზრდები, რომელთაც სომხეთში აგიტაცია უნდა აწარმოონ.

## ჩვენი მუშების დელეგაცია რუსეთში

საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელმა კომიტეტმა და მუშათა სეკრეტარიატმა გადასწყვიტეს გაეგზავნოს საბჭოთა რუსეთში მუშათა დელეგაცია.

ასეთი დელეგაციის გაგზავნის სურვილი გამოსთქვა აგრეთვე ამას წინათ თფილისში შეკრებილმა მუშათა კავშირების კონფერენციამ.

დღეს საქმე მიდგა ამ მეტად საჭირო და მიზანშეწონილ ნაბიჯის ასრულებაზე.

ჩვენი დელეგატების რუსეთში გაგზავნას დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ამ დელეგაციაში მოხვდნენ ჩვენში არსებულ ყველა მიმართულებათა წარმომადგენელნი. საჭიროა გასაგზავნი დელეგატები იყვნენ საკმაოდ მომზადებულნი ამ დიდი საქმის შესასრულებლად. ეს არ იქნება უბრალო ექსკურსია მოგზაურობა; დელეგატებს ეკისრებათ დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით ჩვენი მუშების დელეგაციის გაგზავნას რუსეთში; ხოლო არ შეგვიძლია არ გამოვსთქვათ ჩვენი გაკვირვება იმის შესახებ, რომ მეორე ასეთივე საკითხი— მუშათა დელეგაციის გაგზავნა ევროპის სახელმწიფოებში გადაუწყვეტელი დარჩა. თუ საჭირო და სასარგებლოა დელეგაციის გაგზავნა რუსეთში, მით უფრო საჭირო და საყურადღებოა ასეთივე დელეგაციის გაგზავნა ევროპაში.

დიდი უფსკრული, დიდი განსხვავებაა ჩვენსა და დღევ ნდელ რუსეთის მუშათა მესვეურებს შორის. საჭიროა იქაური ცხოვრების ნახვა, შესწავლა და ჩვენი მდგომარეობის მათთვის გაცნობა, მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებო და საჭიროა იმ მუშებთან ჩვენი დელეგაციის გაგზავნა, რომელნიც ჩვენსავით დარჩნენ ძველ, ნაცად დემოკრატიულ მარქსისტულ გზაზე. საჭიროა წასვლა იმ მუშებთან, საითკენაც მიილტვის ჩვენი სული და გული.

მართალია ევროპაში გვყავს ჩვენ დელეგაცია—წარმომადგენლები; მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩვენი მუშები თვით მივლენ ყველა კავშირში, ყველა ორგანიზაციებში და მუშურად, ამხანაგურად გადასცემენ, გააცნობენ მათ ჩვენს მოძრაობას. რუსეთში წასული დელეგაცია გააცნობს რუსეთის კომუნისტებს ჩვენს მდგომარეობა-მოძრაობას, თუ ამას ეს უკახასკნელნი მოისურვებენ; ხოლო რაიმე შეთანხმება—შეკავშირების იმედი იქ უსაფუძვლო და საეჭვოა.

ევროპაში მისვლა კი იქაურ მუშებთან მოლაპარაკება საუბარი მეტ ნაყოფის მომცემია და მეტი ყურადღების ღირსიცაა!

ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ევროპაში დელეგაციის გაგზავნის საქმე არ იქნება დავიწყებული.

**ძველი მარქსისტი.**

## „წითელ" ადერბეიჯანში.

**9 ივლისის მიტინგი საბუნჩის რაიონში.**

ბაქოში და მის რაიონებში ყოველ პარასკევობით ბოლშევიკები იწვევენ მიტინგებს და მოხსენებებს აკეთებენ სხვა და სხვა თემებზედ.

საბუნჩის რაიონის თითქმის ყველა მიტინგებს ვესწრებოდი. მომხსენებლებს ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდნენ მუშები. ეს ადვილი გასაგებიცაა. რას არ პირდება ყოვლის შემძლე კომუნისტი დამშეულს და იმედ-გაცრუებულს მუშას!

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა მუშებში სასურსათო საკითხი და ამ მხრივ მაშველ ძალათ კომუნისტები დამშეულ და გაშიშვლებულ რუსეთისკენ უთითებდნენ.

საჭიროა მოსკოვის და პეტროგრადის მუშებმა საჭირო სათბობი მასალა მიიღონ და მყისვე ბაქო აივსება პურით და მანუფაქტურითი. გადის დრო,—ბაქო მილიონობით უგზავნის რუსეთს ნავთს ხმელეთით და ზღვით, მაგრამ რუსეთი სდუმს, სამაგიეროს არაფერს იძლევა პური თან და თან ქრება და ძვირდება. წინად თუ მუშა გირვანქა ნახევარს ღებულობდა,—უკანასკნელათ გირვანქას ღებულობს და მასაც უვარგისს. მუშებში უკვე უკმაყოფილება იზრდება. ყოფილ მირზოევის ფირმის მუშები გაფიცვითაც იმუქრებიან.

დადგა ცხრა ივლისი, მორიგი პარასკევი, მორიგი მიტინგი. ხსნა ისევ ცხელ სიტყვებშია.

ვინაიდან საბუნჩის რაიონის მიტინგები (რეკორდის თეატრში) უფრო მრავალ რიცხოვანია და მასთან ეს რაიონი სხვა რაიონის ავანგარდათ ითვლება, აქ კომუნისტების პარტია თავისი ლიდერებს გზავნის. მობრძანდენ ვ. ნანეიშვილი და მუსულმანი ორატორი ავტომობილით (კომუნისტებს საზოგადოთ უყვართ ავტომობილებით სირბილი, ისიც ქალებით, რამაც სასტიკი ბრძანება გამოიწვია მე-11 არმიის შტაბის უფროსის კუზნეცოვის მხრით), მოხსენების თემა „ბრძოლა სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ". პირველათ ლაპარაკობს მუსულმანი, ლაპარაკობს დიდხანს; კრების დიდი უმრავლესობას რუსის მუშები შეადგენენ, და ეს გარემოება ცოტა უკმაყოფილებას იწვევს, მოთმენით უცდიან მორიგ ორატორს.

გათავდა თურქულ ენაზე მოხსენება და თავმჯდომარე წინადადებით მიმართავს მიტინგს: „კომუნისტების პარტიის წევრები წადით პარტიულ კრებაზე დირექტივების მისაღებათო". თუ რაში იყო საქმე, ეს მიტინგმა არ იცოდა. მთელ დარბაზში საშინელი ხმაურობა ატყდა: ძირს მატყუარები, კმარა ჩვენი ასე აგდებაო. სხვა მომხსენებლები მეტად სამწუხარო ფაქტის წინაშე იდგნენ. მაშინ, როდესაც ჩრეზვიჩაიკის და ხიშტის შიშით ყოველი მოძრავი არსება სულ ძლივსღა ითქვამდა, აქ მუშების საუკეთესო ნაწილი ზიზღით იხსენიებდა ბოლშევიკების მოქმედებას. ვერ გასჭრა თავმჯდომარის ხვეწნა-დარიგებამ. მიტინგი მაინც ღელავს. **„კომუნისტებო გადით გარეთ და დანარჩენებს კი..."** ხაზ გასმით დაგვიმუქრა თავმჯდომარე და ნაწილი მიტინგისა იძულებული ვიყავით გარედ გამოვსულიყავით. უმრავლესობა დარბაზში დარჩა და ხმაურობდა. ამ დროს მოგვესმა მწუხარე ხმა. ჩვენც დავბრუნდით დარბაზში. ესტრადაზე აღელვებული, პიჯაკ გამძვრალი, რევოლვერით გვერდზე ვ. ნანეიშვილი არცხვენს მუშებს: „ჩვენ არა ერთხელ გიხსენით თქვენ გასაჭირისაგან. მაგრამ თქვენ ყოველთვის გვღალატობთ: წინად მენშევიკ ესერების კლანჭებისაგან გიხსენით, მაგრამ თქვენ ორი წლის წინად გვიღალატეთ, უღალატეთ მუშათა საქმეს; გიხსენით ეხლა მუსავატისტებისაგან,—გვღალატობთ ახლაც და სხვა."

ბარემ ჩვენც ისე დაგვხრიტეთ, როგორც პუტილოვის ქარხნის მუშები დახვრიტეთო,—იძახის ერთი მუშა.

Довольно голову морочить, იძახის მეორე.

Я не привык при таком шумѣ говорить,—უპასუხებს ვიქტორი, ჩვენ საშინელი კრიზისის წინაშე ვდგევართ, საჭიროა თქვენი დახმარება,—ღრიალებს ნანეიშვილი და მოუწოდებს მუშებს მოქმედებისაკენ. აღელვებული ჯდება.

„შეკითხვა შეიძლება თუ არა"?—გაისმის ხმები.

„შეიძლება",—უპასუხებს თავმჯდომარე,—მხოლოდ აქოდით ესტრადაზე და ჩაეწერეთ.

ესტრადაზე ასვლა და გვარის გამომჟღავნება შემკითხველებს არ ეჭაშნიკა და ასეთები არ აღმოჩნდა.

გამოვიდა მუშა კომუნისტი, მაგრამ მას სრულიად არ მისცეს ლაპარაკის ნება და ისიც გაჩუმდა.

ასე „ჩინებულათ" ჩატარდა ეს მიტინგი!..

თუ კი ერთი თვის წინათ კომუნისტები ქვეყანას აუწყებდნენ, რომ მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოში არჩევნების დროს ჩვენ ერთხმად ვიქენით არჩეულიო, ნეტავ თუ ასე „ბრწყინვალეთ" გაიმარჯვებდნენ,—რომ ხელ-ახალ არჩევნებს მოახდენდნენ ახლა?.. მაგრამ მაშინ, არჩევნების დროს, ხომ წინასწარ გამზადებული სიით მიდიოდნენ კრებებზე და ხმის უმეტესობას არც კი დაგიდევდნენ, (მაგ. ასადულაევის ფირმა და საბუნჩის ამბულატორია) ოქმი იწერებოდა: „ერთხმად არჩეულნი" და სხვა.

რაც რომ წითელ ადერბეიჯანში ხდება ამ ხანათ, იმის გადმოცემა მეტად ძნელია: ამისთვის საჭიროა ურწმუნო თომები წაბრძანდენ იქ და დარწმუნდენ კომუნისტების საქმიანობაში.

ყველაფერს სამგლოვიარო ელფერი ადევს. ჩრეზვიჩაიკა ხომ შიშის ზარს სცემს ყველას. ჯაშუშობა უმწვერვალეს ხარისხამდეა აყვანილი. ამ ხელობას გაზ. „კომუნისტმა" სპეციალური წერილი უძღვნა, სადაც აღნიშნა, რომ თუ წინათ ჯაშუშობა დასაგმობი და გასაკიცხი იყო, ახლა ეს სავალდებულო არის და ყველა მოქალაქე და მუშა ვალდებულია ჯაშუშობა გასწიოს, თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადოსო.

დროგამოშვებით კომუნისტები თავის თავსაც აკრიტიკებენ გაზეთის ფურცლებზედ. მაგალითად შემდეგ წერილებში: „Начнем с самих себя", „К порядку", письма из провинціи" სავსეა „მარგალიტებით". საჭირო იყო მათი დაწვრილებით გამოქვეყნება, მაგრამ ერთ-ერთ სადგურის კომენდანტმა ყველა გაზეთები ჩამომართვა (რა თქმა უნდა კომუნისტური, რადგანაც სხვა გაზეთები ბაქოში არ გამოდის). როცა შევეკითხე,—ნუ თუ თქვენ თითონ არ უნდა იყოთ მოხარული „რეაქციონურ" საქართველოში თქვენი გაზეთის გატანის-თქვა,—მიპასუხა: „საზღვარ-გარეთ ჩვენი გაზეთის გატანა აკრძალულიაო".

გისმინოს ზეციერმა-თქვა, - ვიფიქრე მეც -.

**ვ. მ—ძე.**

28 ივლისი.

## ქუთაისის ამბები

ქუთაისის მოურავმა დ. თოფურიძემ მთელი ქალაქი პირადათ დაიარა და ყველა ქუჩები და მოედნები დაათვალიერა. ქალაქის ქუჩების და მოედნების ანტისანიტარულ მდგომარეობას მან სათანადო ყურადღება მიაქცია და უბრძანა ქალაქის სანიტარულ რაზმს ქალაქი დაუყონებლივ დაასუფთავონ და სანიტარულის მხრით მთელი ქალაქის მოედნები და ქუჩები მოქალაქეების და მილიციის დახმარებით წესრიგში მოიყვანონ. — იმ სანიტარებს, რომლებიც პირნათლად ვერ შეიძლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას მოურავი დათხოვნით დაემუქრა.

— ქალაქის გამგეობაში ზოგიერთი მოსამსახურეები სამსახურში თავის დროზე არ მოდიოდენ. ამ გარემოებას მოურავმა სათანადო ყურადღება მიაქცია და კანცელარიაში მკაცრი ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ იქნეს სამსახურიდან დათხოვნილი ის მოსამსახურე, რომელიც დანიშნულ დროზე სამსახურში არ გამოცხადდება.

— ქალაქის გამგეობაში ქალაქის მოურავმა განკარგულება გასცა ჯარის კაცების და გვარდიელების ოჯახებს თვითმართველობაში ყურადღებით მოეპყრენ და ქალაქის საქმეებში პირველ რიგის საზრუნავ საგნათ ამიერიდან მეომრების ოჯახების დახმარება დააყენონ.

— ქალაქის მოურავს განუცხადეს მოქალაქეებმა, რომ რესპუბლიკის სამსახურში მყოფი ზოგი აფიცერი თავის პირადი საჭიროებისათვის სარგებლობენ სახელმწიფოს კუთვნილი ეტლებით და ავტომობილებით, შეზარხოშებულნი ქალაქის ქუჩებში დაქრიანო. პირადათ ამ გარემოებას ქალაქის მოურავმაც ყურადღება მიაქცია და წინადადებით მიმართა გარნიზონის უფროსს—სათანადო ზომები მიიღოს სახელმწიფო ქონების ღასაცავად და აფიცრებს პირადი საჭიროებისათვის რესპუბლიკის ეტლებით და ავტომობილებით სარგებლობა აუკრძალოს.

— ქალაქის მოურავის ინიციატივით ქუთაისში საძირკველი ჩაეყარა დიდ სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოებას. საზოგადოების დაარსებისა და მოგვარების საქმეში მონაწილეობას იღებენ როგორც საზოგადოებრივი დაწესებულებები ქალაქები, ერობები, აგრეთვე კერძო ვაჭარ-მრეწველნი. მიზანი, რომელსაც საზოგადოება ემსახურება: არის: საქართველოში სახელმწიფო ტყეების ექსპლოატაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და საქსოვი და მექანიკური ქარხნების მოწყობა.

## აჭარის ადმინისტრატიული მოწყობა

ამ დღეებში თფილისში მაჰმედ-ბეგ აბაშიძის თავმჯდომარეობით მეჯლისის დელეგაცია ჩამოვიდა. საქ. დეპ. სააგ თანამშრომელთან საუბრის დროს მაჰმედ-ბეგ აბაშიძემ განაცხადა: დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი არის ცენტრალურ მთავრობასთან მოლაპარაკება აჭარის ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობის შესახებ. დელეგაციაში აჭარის საზოგადო მოღვაწეები იღებენ მონაწილეობას, მათ შორის არის ხალილ ბეგ სურმანიძე, სულეიმან ბეგ ბეჟანიძე, მუსტაფა აღა ჩიმერიძე და მეჯლისის მდივანი ჯემალ ეფენდი ქიქვა. მაჰმედ ბეგ აბაშიძე აღნიშნავს, რომ დელეგაციის მიზანია აგრეთვე აცნობოს რესპუბლიკის მთავრობას მეჯლისის ის დადგენილება, რომელიც მან გამოიტანა აჭარაში ადმინისტრაციის მოწყობის საკითხის შესახებ. ეს დადგენილება საერთოდ მდგომარეობს შემდეგში: რესპუბლიკის დამფ. კრება მუშაობს მეჯლისთან შეთანხმებით და აჭარის ავტონომიას აცხადებს. რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც მომენტს ანგარიშს უწევს, ცოტა სხვანაირი დადგენილება გამოიტანა, რომელსაც მეჯლისი, სთქვა მაჰმედ ბეგ აბაშიძემ, უსიტყოდ მიიღებს. ჩვენ ავტონომია ისე გვაქვს წარმოდგენილი, სთქვა მეჯლისის თავმჯდომარემ, რომ ის კითხვები, რომლებიც გარეშე საქმეებს და ფინანსიურ პოლიტიკას შეეხება, აგრეთვე სამხედრო მოწყობილებას და იმ შინაგან საქმეებს, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვთ, უნდა გადასწყვიტოს ცენტრალურმა კანონმდებლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა ის საკითხები კი, რომლებსაც ოლქისათვის ადგილობრივი ხასიათი აქვთ, ადგილობრივ სახელმწიფოებრივ აპარატის საშუალებით უნდა გაირჩეს. ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა გადასწყდეს აგრეთვე აგრარული საკითხი. ეს საკითხი აჭარის სახელმწიფო აპარატმა უნდა მოაწესრიგოს. მიწის პრობლემა აჭარაში უკვე გადაწყვეტილია: მიწები შარიათის მიხედვით კატეგორიებათ არის დანაწილებული. საერთოდ მიწის საკითხი აჭარაში მომავალშიაც ადგილობრივმა ძალებმა უნდა გადასწყვიტონ. ამჟამად მდგომარეობა აჭარაში სრულიად დამაკმაყოფილებელია. მართალია ხანდახან აჭარის საზღვრებზე გამოჩნდებიან ხოლმე სხვადასხვა ბანდები, მაგრამ მათ ქართველ-მუსლიმანების ნაწილები იოლად დევნიან თავის საზღვრებიდან. აჭარის მდგომარეობა საქართველოსთან შეერთებამდე, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ძლიერ მძიმე იყო. პატრიოტულად განწყობილ ელემენტებს არა ჩვეულებრივი ბრძოლის წარმოება სჭირდება ყველა იმ მავნე ელემენტებთან, რომლებითაც მთელი აჭარა სავსე იყო. ამ ანტი-სახელმწიფოებრივ ძალებს 6 ჯგუფი შეადგენდა: 1) ახალგაზრდა თურქების კომიტეტი, 2) ადერბეიჯანის აგენტები, 3) ბოლშევიკები, რომლებმაც 27 მილ. მან. დახარჯეს, 4) რუსი მოხალისეები, 5) ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც არაფრით არ იყო დაკავშირებული ოლქთან და 6) სხვა მოსული ელემენტები. მაგრამ ჯავის მცხოვრებლები მეჯლისს თანაგრძობით უყურებდენ და საქართველოსთან დაკავშირებულად გრძნობდენ თავს. მაშინ, როდესაც ასეთი იყო ხალხის საერთო სულიერი განწყობილება, რასაკვირველია, არავითარ პროპაგანდას და მოსყიდვას არ შეეძლო აჭარის საქართველოდან საბოლოოდ ჩამოშორება. სხვათა შორის, სთქვა აბაშიძემ, იმ ამბების გამო, რომლებიც უკანასკნელ წლების განმავლობაში დატრიალდა, აჭარის მცხოვრებლების რიცხვმა ძლიერ იკლო და ამ ჟამად აჭარაში სულ 190.000 კაცია. დასასრულ აჭარის წარმომადგენელმა იმედი გამოსთქვა, რომ საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს შორის სრული თანხმობა ჩამოვარდება და საქართველო და მასთან ერთად აჭარა აყვავდებაო. (სდს).

## სამაზრო ერობის მეშვიდე სესია

სამაზრო ერობის წევრების სხდომაზე 31 ივლ. განიხილეს შემდეგი მოხსენებები: სტატისტიკურ და სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა მოქმედების შესახებ. ორივე მოხსენება მიიღეს. უკანასკნელ მოხსენების შესახებ დაადგინეს: მიეცეს დახმარება სამხედრო პირების ოჯახებს ფულით და სურსათით, აეხსნას მცხოვრებლებს მობილიზაციის მნიშვნელობა. შემდეგ განიხილეს მოხსენება ვეტერინარულ-სასანიტარო განყოფილებისა. დაადგინეს: ყარაიაზში გაიხსნას ვეტერინარული პუნქტი; ყურადღება მიექცეს საქონლის ჭირის გაუჯობესობას, ზომები იქნას მიღებული ცხოვრების ავითმყოფობის წინაღმდეგ, მისცეს საჭირო ფული ცხენების მეპატრონეთ, თუ მათი ცხენები დახოცილი არის ექიმების ბრძანების. აგრეთვე განიხილეს ტეხნიკურ განყოფილების მოხსენება. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ ერობის მიერ ასურეთ-ალუღლის გზაზე შეკეთებულია 11 ხიდი, პროექტი შედგენილია მარტყოფ-ნორიოს, სართიჭალა-პატარძეულ-კაკაბეთის, წყნეთის ტაბახმელა-ბორჩალო-კოდის გზების შესახებ. შემუშავებულია პროექტი მდ. იორზე საურმე ხიდის გაკეთების შესახებ; დამუშავებულია აგრეთვე პროექტი მაზრის სხვადასხვა ადგილებში წყალსადენების გაყვანისა. დამუშავებულია პროექტი მარტყოფში დასალევ და მოსარწყავ წყლის გაყვანისა მდინარე ქოტორიდან. გადაკეთებულია 5 სასწავლებლის შენობა, 11 სოფელი შეერთებულია თფილისიდან ტელეფონით, ყარაიაზში დაიწყო წისქვილის შენება. აქ მოწყობილი იქნება დინამო-მანქანა და სხვა. ტეხნიკურ განყოფილების მოხსენება მიიღეს და შემდეგ დაადგინეს, რომ ტეხნიკურ მუშაობაში და გზის გაყვანაში სოფლებმაც მიიღონ მონაწილეობა. თუ გლეხი პირადათ ვერ შესძლებს მონაწილეობის მიღებას მუშაობაში, ამ შემთხვევაში იგი უნდა დაიბეგროს ფულით. ამას გარდა დადგენილია ყარაიაზში გაგრძელდეს ტყის ექსპლოატაცია. მიღებულ იქნას ზომები სარწყავ არხის გაუმჯობესებისათვის მანავში წყალ'ადენისა, საგარეჯოში წისქვილის მოწყობისათვისაც. დილმის მოსარწყავ არხის გაყვანისათვის თითეულ დესიატინის მეპატრონე დაიბეგროს 10 000 მან. ეთხოვოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასცეს ერობას საუნდო მიწები, რომელიც იმყოფება ამ რაიონებში, აღძრან მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მისცეს ერობას სესხათ 20 მილ. მან. თავის მხრივ ერობამ გადასდო 100,000 მან. ამ მიზნისათვის.

უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს თფილისის მაზრის თემთა ადმინისტრატიულად დაყოფის საკითხი. დადგენილია: 1) თემი საგარეჯო ეხლანდელ საზღვრებში დარჩეს ამასთან მიიღეს წინადადება, თუ მაზრის გაყოფის შემდეგ, რომელიც ეხლა პროექტშია, ჩაილურსიღნაღის მაზრა შეუერთდება თფილისის მაზრას, იმ შემთხვევაში დაისვას საკითხი საგარეჯოს თემის ორათ გაყოფის შესახებ, სართიჭალა უნდა გაიყოს სართიჭალის და მალხაზოვკა, ხაშმის პატარძეულისა და გომბორის თემებათ. მარტყოფი უნდა გაიყოს მარტყოფისა და ნორიოს თემებათ, გარეთ-უბანი შეადგენს 4 თემს. ავჭალის, დილომს, წავკისს და თელეთის სხვა თემები დარჩება უცვლელად. ბოლოს ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: თუ თფილისის მაზრის რომელიმე თემი მოითხოვს გამოყოფას, მაშ ნ მართველობამ დააკმაყოფილებლათ მიიღოს სათანადო ზომები.

## პროფეს. კავშირებში

**საქართველოს პროფეს. კავშირთა ცენტრალ. საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლების კონფერენცია.**

კონფერენციის პირველი კრება გაიხსნა 30 ივლისს, საღ. 7 საათზე. დაესწრენ საბჭოს წევრები: გ. ტუსკია, ა. კობიძე, ზაქრაძე, ცენტერაძე, კაპანაძე, სამანიშვილი, ბოხოხაძე, გაჩეჩილაძე, თოფაძე, ბერიშვილი, კაიტაჯიანი, კავკასიძე და ხოჭოლავა. ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლები: ფოთიდან —სეფერთელაძე, თელავიდან—მამალაძე და ფერაძე, ტყიბულიდან—კუპრაშვილი და მეხუზლა, ბათომიდან—ნაკაიძე, სიღნაღიდან — ახმეტელაშვილი, რკინის გზიდან—ბერეჟიანი, თფლისიდან—სალირაშვილი, კოკოზაშვილი, თამაზაშვილი, გიორგაძე, ი. ჩხენკელი, გ. პაიჭაძე. მუნიციპალურ დაწესებულებებიდან—ბერეჟიანი და ვასაძე, მიწისმზომელებიდან-საფაროვი.

**საქართველოს მუშათა დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა რუსეთში.**

კონფერენციას ხსნის ცენტრალურ საბჭოს აღმას. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ა. ხელაძე, რომელიც აცნობს კრებას აღმას. კომიტეტის მიერ შემუშავებულ დღის წესრიგს. დასმულია შემდეგი საკითხები: 1) მუშათა დელეგაციის არჩევა საბჭოთა რუსეთში გასაგზავნათ, 2) მუშათა დელეგაციის გაგზავნა ადერბეიჯანში, 3) პროფესიონალურ კურსების დაარსება. თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. გ. ტუსკია, მდივნათ დ. გაჩეჩილაძე. კონფერენცია უცვლელათ იღებს დღის წესრიგს და გადადის არსებითად საკითხების განხილვაზე.

ამხ. **ხელაძე** კრების გახსნისას, ეხება რა კონფერენციის მოწვევის მიზანს, ამბობს, რომ ცხოვრებამ ჩვენს წინაშე წამოაყენა მეტად დიდი და ჩვენი მუშათა მოძრაობისთვის მნიშვნელოვანი საკითხი—საბჭოთა რუსეთში დელეგაციის გაგზავნისა. ალბათ, ყველა ამხანაგებმა იცით, თუ რა დიდი ქსელია გაბმული ყოვლად დამახინჯებული ინფორმაციისა, საბჭოთა რუსეთში ჩვენი მუშათა კლასისა და რესპუბლიკის შესახებ. საჭიროა გაქარწყლებულ იქნას ეს ყალბი ხმები და ჩვენ უნდა მივაწოდოთ ჩვენ თანამოძმე—რუსეთის ჭეშმარიტ პროლეტარიატს ნამდვილი ცნობები ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ეს მით უფრო სასურველია, რომ რუსეთის მუშათა კლასთან საქართველოს შეკავშირებული პროლეტარიატი ოქტომბრის გადატრიალებამდე ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა საერთო რევოლიუციონურ მიზნების განხორციელებისთვის. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისეთი დელეგაცია, რომელიც შესძლებს რუსეთში გააშუქოს ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომელიც წამოაყენა ჩვენმა რევოლიუციამ სინამდვილეში და ის გზა, რომელსაც მიჰყვება და დღემდისაც მიჰყვებოდა ჩვენი მუშათა კლასი. სამაგიეროდ, ამავე დელეგაციას ევალება ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა თვით რუსეთში იმ მხრივ, რომ მან უნდა შეკრიბოს უტყუარი და ობიექტიური ცნობები იქაურ მუშების პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებისა და მუშათა კანონმდებლობისა. სწორედ ამ პრინციპზე იდგა აღმასრულებელი კომიტეტი, როდესაც არჩევდა დელეგაციის გაგზავნის საკითხს. ჩვენ უნდა შევურიოთ დელეგაციაში ჩვენს პროფესიონალურ მოძრაობაში მომქმედი პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები მიზანშეწონილობის მიხედვით და გლეხთა წარმომადგენლებიც.

ამხ. **პ. სეფერთელაძე** ამბობს, რომ, როგორც გამოირკვა ამხ. ხელაძის სიტყვიდან, აღმასრულებელ კომიტეტს უკვე გადაუჭრია პრინციპიალური საკითხები, მხოლოდ მისი აზრით დელეგატების არჩევნებს საფუძვლათ უნდა დაედოს უმთავრესად ადგილობრივი წარმომადგენლობის პრინციპი, რომლის მიღებას თხოულობს ფოთის საბჭო.

ამხ. **ი. ბადრიძეს** დელეგაციის გაგზავნა და მისი მიზნები მეტად დიდ საკითხად მიაჩნია და ამბობს, რომ ამხ. სეფერთელაძეს მიერ წამოყენებული დებულება საქმიანობის თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია. ჩვენ არასოდეს არ უნდა გავყვეთ იმ შეხედულებას, რომ ასეთი დიდ მნიშვნელოვანი საკითხი იჭრებოდეს უსათუოდ კუთხური წარმომადგენლობის თვალსაზრისით. იქ უნდა გაიგზავნოს ყოველმხრივ მომზადებული და დახელოვნებული მუშები, რომლებსაც შეეძლებათ ჩვენი პროფესიონალური და პოლიტიკური ცხოვრების გაშუქება და იქაურის ჩვენი მუშებისთვის გადასაცემათ სავსებით შეთვისება. ამრიგად, დელეგაციის არჩევნების დროს ჩვენ გამოვალთ საერთო საქმიანობის პრინციპიდან და საიდანაც არ უნდა იქნენ იგინი,—ავირჩევთ მათ, თუ კი დააკმაყოფილებენ ჩვენ მიერ წაყენებულ მოთხოვნილებებს.

ამხ. **ტუსკია** მხარს უჭერს ბადრიძის მოსაზრებებს და დაუშვებლად მიაჩნია კუთხური წარმომადგენლობის პრინციპის წამოყენება.

ამხ. **სეფერთელაძე** განმეორებით იცავს თავის წინა მოსაზრებებს და ამბობს, რომ საწარმოო ცენტრებმა საჭიროა თავთავიანთი წარმომადგენლები წამოაყენონ რუსეთში გასაგზავნათ.

ამხ. **ხელაძე**: ბადრიძის მიერ წამოყენებულ დებულებებს შეიძლება შესწორებებით მხარი დავუჭიროთ. ჩვენ, როგორც პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებმა ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ მდგომარეობას, რომ პროფ. კავშირებში მონაწილეობას იღებენ ყველა სოციალისტური მიმდინარეობები და ამიტომ დელეგაციაში უნდა შედიოდნენ მათი სურვილის გამომხატველი მიმდინარეობები. გაგზავნილი ამხანაგები უნდა იქნენ საკმაოდ მომზადებულნი, იცოდნენ რუსული ენა და შეეძლოთ იმ დიადი საქმის და დავალების შესრულება, რომელსაც მათ ჩვენ დავაკისრებთ, ამიტომ საკითხის გადასაჭრელათ ერთად-ერთ მიზანშეწონილ მოსაზრებით ჩაითვლება საქმიანობის მოსაზრება. ჩვენ განზრახული გვაქვს მეორე დელეგაციის მეზობელ ადერბეიჯანში გაგზავნა და მაშინ მიღებული იქნება მხედველობაში ის პრინციპი, რომელიც წამოაყენა ამხ. სეფერთელაძემ.

ამხ. **ძამანაშვილი** აფრთხილებს კონფერენციას და ამბობს, რომ საქართველოს მუშათა ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩვენი შეკავშირებული პროლეტარიატი გზავნის რუსეთში თავის წარმომადგენლებს. ამას ძალიან დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ექნება, როგორც იქ რუსეთში, ისე აქ, ჩვენ ამხანაგებში. ამიტომ ვფიქრობ,—განაგრძობს ორატორი საქმეს ღრმად ჩაკვირვება სჭირია, რათა ჩვენი მუშათა დელეგაცია ისეთი შემადგენლობისა იყოს, რომ მან შესძლოს განვლილი გზის გათვალისწინება, კანონმდებლობის შინაარსის გაგება და რთული საკითხების გარკვევა, რათა ურთიერთ გაგების საქმეში მეტი გარკვეულობა და სწორი ინფორმაციაზე აგებული ცნობები მოგვაწოდონ. ამ საქმისთვის ჩვენ არც ისე ბევრი მომზადებული ხალხი გვყავს და ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ცალკე წარმომადგენლობის უფლების მინიჭება ამა თუ იმ ორგანიზაციისათვის.

ამხ. **თოფაძე** ამბობს, რომ არ არის საჭირო იქ უსათუოდ დიდად მომზადებულ ამხანაგების გაგზავნა და მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ უსათუოდ დელეგაცია არჩეულ იქნას კავშირების წევრთა შემადგენლობიდან და რაც შეიძლება თვით ორგანიზაციებში უნდა იყვნენ დახელოვნებული და მუშების მასსასთან დაახლოვებული, თუ გვ'ურს, რომ მას ნამდვილი მუშური დელეგაციის პრესტიჟი ჰქონდეს.

ამხ. **ზაქრაძე** მხარს უჭერს ხელაძესა და ბადრიძეს და მოხრეა მომზადებულ ამხანაგების გაგზავნის, რათა ჩვენთვის აუცილებელი ინფორმაცია გადმოგვცენ აქ.

ამხ. **მეხუზლა** ამბობს, რომ დელეგაციის დანიშნულებაა გააცნოს ჩვენი მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრება რუსეთის პროლეტარიატს და იქიდან ჩვენი მუშებისათვის წამოიღონ ის ცნობები, რომელიც სინამდვილეს შეეფერება. კუთხური პატრიოტიზმი აქ დაუშვებელია.

ამხ. **ნაკაიძე** ეთანხმება ხელაძეს, მხოლოდ შესაძლებლად სცნობს პროვინციისათვის წარმომადგენლობის უფლების მინიჭებას, კერძოთ ბათომისთვის.

ამხ. **სეფერთელაძის** აზრით, დელეგაციაში წარმომადგენლები უნდა შევიდნენ საწარმოო დარგების მიხედვით.

ამხ. **შ. აბდუშელიშვილი** მოახსენებს კონფერენციას საავადმყოფო კასის გამგეობის შუამდგომლობას ერთი ადგილის დათმობის შესახებ და საჭიროთ სცნობს გადაიჭრას წინასწარ სხვა და სხვა პარტიების გლეხების წარმომადგენლებისათვის ადგილების დათმობისა და დელეგაციაში ზედმეტათ ტეხნიკური ძალების შეყვანის საკითხები.

ამხ. **თავმჯდომარეს** აზრით საკითხი ტეხნიკური ძალებისა აქ არ უნდა გაირჩეს ამას თვით დელეგაცია მოაწესრიგებს, მხოლოდ დანარჩენი საკითხები, რომელიც ამხ. აბდუშელიშვილმა წამოაყენა უნდა განხილულ და მხედველობაში მიღებული იქნენ.

ამხ. **ხელაძე** ამბობს, რომ დელეგაციის არჩევის საერთო დებულებებში ჩვენ ყველანი შევთანხმდით, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ გამოთხოვილი თანხა ნავარაუდევია ათი კაცისთვის და ბევრი ტეხნიკური მრჩევლების იქ გაგზავნა არ შეგვიძლია და არც იმდენად საჭიროა ეს. საავადმყოფო კასის მოთხოვნილება ჩვენ მოუხერხებლად მიგვაჩნია, ვინაიდან, თუ საავადმყოფო კასისთვის იქნა დაშვებული გამონაკლისი, მაშინ ასეთივე გამონაკლისი უნდა იქნემიღებული პროვინციის წარმომადგენლებისათვის და კოოპერატივებისათვის დელეგაციაში ჩვენ სასურველად მიგვაჩნია გლეხთა დელეგატების შესვლაც. მხოლოდ მისი არჩევანი აქ ვერ გადაწყდება.

ამხ. **ცენტერაძე** წინააღმდეგია დელეგაციის შემადგენლობაში გლეხებისა და

ფრაქციების წარმომადგენელთა შეყვანისა და ამბობს: „ჩვენ გვინდა ნამდვილი მუშები გავგზავნოთ და გავეცნოთ იქაურ მუშების ცხოვრებას და ყოველივე ეს გადავსცეთ მთელს ჩვენს პროლეტარიატს".

ამხ. **კაიტაჯიანი** იცავს საავადმყოფო კასისთვის ერთი დელეგატის არჩევის უფლების მინიჭებას, დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, თუ როგორაა დაყენებული საავადმყოფო კასის და საერთოთ მუშათა დახმარების საქმე საბჭოთა რუსეთში და ამიტომ აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ორატორს, რომ ამ საქმის იქაურ მდგომარეობის შესასწავლათ განსაკუთრებით იყოს დაშვებული ერთი კაცი დელეგაციაში.

ამხ. **ბახტაძე** ამბობს, რომ შესაძლებელია, თუ კი ამას საქმე მოითხოვს, დელეგაციის გადიდება, ვინაიდან შრომის სამინისტრომ მიიჩნია რა გამოთხოვილი თანხა მცირედათ, დამატებით მოითხოვა ორი მილიონი მანეთის გადადება ინფორმაციისათვის. უნდა გაიგზავნოს უსათუოდ ათი მუშების წარმომადგენელი, რაც შეეხება ტეხნიკურ ძალებს, შეიძლება მათი დელეგაციის გა- [illegible]

[illegible]

ხდენთ. ამხ. ხოჭოლავა მისაღებათ სთვლის ბერიშვილის წინადადებას დელეგატების არჩევნების შესახებ.

კონფერენციამ გადასწყვიტა დელეგატების არჩევნებში იხელმძღვანელოს საქმიანობის პრინციპით და შეძლებისადაგვარათ ანგარიში გაუწიოს პროვინციის ორგანიზაციებს.

კონფერენციამ სასურველოთ დაინახა არჩევნებამდე წამოყენებულ კანდიდატების ცალ-ცალკე დახასიათება.

ამის შემდეგ კონფერენცია შეუდგა დელეგატების არჩევნებს ღია კენჭის ყრით. დელეგაციაში არჩეული აღმოჩნდენ: ალ. დგებუაძე და ვ. მგელაძე (ერთხმათ), პავლე ბერიშვილი, დ. გაჩეჩილაძე, ვ. ცენტერაძე და თ. ასათიანი (18 ხმით), შუბაშვილი 17 ხმ., ლევაშკევიჩი 16 ხმ., კაიტაჯიანი 15 ხმ., გენძეხაძე 14 ხმ., ე. ტორატაძე 17 ხმით, კანდიდატებათ: ფარქოსაძე, პატარიძე. ჩიკაშუა და ამაშუკელი. მდივნებათ არჩეულ იქნენ გოლდმანი და ლ. რუხაძე. სხდომა დაიხურა საღამოს 11 საათზე და 25 წუთზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია 31 ივლისს დილის 10 საათზე.

31 ივლისის სხდომა.

[illegible]

მოძრაობაში, ილებენ განათლებას და შემდეგ კავშირებს აღარ ეკარებიან.

ამხ. **ზაქრაძის** აზრით თოფაძის წინადადება მიუღებელია კურსებზე უმრავლესობა უნდა იქნენ მუშები, მხოლოთ ახალგაზრდა ინტელიგენციასაც უნდა დაეთმოს შესაფერი ადგილი, ვინაიდან მერმისთვის ეს მუშებისთვის სასარგებლო იქნება.

ამხ. **კაპანაძე** მხარს უჭერს ზაქრაძის წინადადებას.

ამხ. **გაჩეჩილაძე** მოითხოვს, რომ კურსების ვადა გადიდებულ იქნას, ვინაიდან გამოქვეყნებულ პროგრამაში მეტად სერიოზული საგნებია და მისი შესწავლა საგრძნობ დროს მოითხოვს და ჩვენ თუ გვინდა, რომ კურსებმა სასურველ შედეგს მიაღწიონ უნდა, ვეცადოთ, რომ მსმენელებს მივაწოდოთ პრაქტიკული მუშაობისთვის გამოსადეგი ცოდნა სწორეთ აგებული თეორეტიულ საფუძველზე.

ამხ. **ტუსკიას** საკმაოთ მიაჩნია სამი თვის ვადა, რადგან მუშებისთვის პრაქტიკულ მუშაობაში უფრო საჭიროა ზოგადი ცნობები.

კონფერენცია სავსებით ადასტურებს აღმასრულებელ კომიტეტის პროექტს და ავალებს მისწეროს ადგილობრივ კავშირებს კურსების მოქმედების დაწვრილებითი პირობები და ცნობები შესახებ იმისა, თუ რამდენი კანდიდატი შეუძლია გამოგზავნოს თვითეულმა კავშირმა კურსებზე.

**მუშათა კოოპერაცია.**

ამხ. ი. **ირემაშვილი** მოახსენებს კონფერენციას მუშათა კოოპერაციის შესახებ იმ კომისიის მოსაზრებებს, რომელიც არჩეული იყო სეკრეტარიატისა და საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის არა სავაჭრო განყოფილების წარმომადგენლებისაგან, რომელსაც მიენდო მუშათა კოოპერატივების შესახებ ძირითადი დებულებების გამომუშავება. კომისიამ გამოიმუშავა დებულებები, რომელიც სეკრეტარიატმა 22 ამა ივლისის სხდომაზე დაადასტურა.

კომისიის მიერ შემუშავებული და კონფერენციაზე ირემაშვილის მიერ წამოყენებული დებულებები კონფერენციამ უკამათოდ მიიღო და ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლებს დაავალა მათ ცხოვრებაში გატარებისთვის ხელის შეწყობა და დახმარება. (ეს დებულებანი უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში).

**ალმ კომიტეტის შევსება.**

აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა დროებით რუსეთში გამგზავრების გამო არჩეულ იქნა კანდიდატები: 1) ბერეჟიანი, 2) თოფაძე, 3) კავკასიძე და 4) კაპანაძე.

ამით დამთავრდა კონფერენცია.

# მუშათა შორის

**თფილისი.** განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობის სხდომა შესდგა 27 ივლისს. დღიურ წესრიგში იყო: 1) სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან მუშა კირვეულიშვილის დათხოვნა ბათომის ექსკურსიაში მონაწილეობის მიღებისათვის. 2) სამხედრო წისქვილის გამგის რევიშვილის და მუშების უთანხმოების შესახებ. 3) წვრილ სახელოსნოებიდან მუშა მოხელეების მიღება.

პირველ კითხვაზედ გამგეობამ დაადგინა: რადგანაც სახედრო სასურსათო საწყობის კომიტეტი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ადგილობრივად კავშირის დადგენილებებს ვერ ატარებს ცხოვრებაში, რაც ხელს უშლის კავშირის ორგანიზაციულად მუშაობს, ამიტომ 28 ივლისისთვის დაინიშნოს საწყობის მუშა-მოსამსახურეების საზოგადო კრება ახალი კომიტეტის შემადგენლობის არჩევნების მოსახდენათ და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვების გასარჩევად, რისთვისაც გაიგზავნოს კომისია: ქელენტი, მამალაძე, შუბაშვილი, ლაცაბიძე და კოპალეიშვილი; კირვეულიშვილის შესახებ კი მოხსენდეს სეკრეტარიატს, რომ ზომები მიიღოს მისი უფლების აღსადგენად.

სახედრო წისქვილის გამგის რევიშვილის და მუშების უთანხმოების გამორკვევა მიენდოს საკონფლიქტო კომისიას და თუ ის ვერ შესძლებს ამ საქმის მოგვარებას, გადაეცეს სეკრეტარიატს.

3-მე კითხვაზე: მიენდოს პრეზიდიუმს ადგილობრივათ გამოირკვას წვრილი სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა და შემდეგ მოხსენდეს გამგეობას. **ო. მაშოშვილი.**

# პროვინცია

**სამურზაყანოს მაზრის** ცენტრად დ. გალი ითვლება. ამ პატარა დაბაში თავმოყრილია ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები: გვარდიის მაზრის შტაბი, ერობა, სამაზრო სამმართველო, სკოლა, კოოპერატივი, სასამართლო, ფოსტა, გამომძიებელი, მეთუთუნეთა სამაზრო კავშირი, სამკითხველო, პროფესიონალური კავშირები: მასწავლებელთა და ერობათა მუშა მოსამსახურეების. მაზრაში კარგი ადმინისტრაციის წყალობით არავითარი უწესობას ადგილი არ აქვს. დაჭერილია და ციხეში ზის ყველა ყაჩაღები და ბოროტმოქმედნი პირნი, გარდა ქვაჩახიასი, რომლის საწინააღმდეგოთ სასტიკი ზომებია მიღებული. გვარდია და ადმინისტრაცია ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ მაზრის გასაწმენდად და მავნე პირთა ასალაგმავათ. ერობა თავის მუშაობას აფართოებს.

დღეს სამურზაყანოს მაზრას დიდი წარმატება ემჩნევა როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად. როცა კი წვრილი ერობები შემოვა სოფლებში, მაშინ ასეთი მუშაობას უფრო ფართე ხასიათი მიეცემა. ხალხი ეკიდება მეურნეობას ფართედ: თამბაქოს, ვენახების და სხვათა გაშენება ძლიერ ვრცელდება. დაარსებულია მეთუთუნეთა სამაზრო კავშირი, რომელიც სესხის თუ სხვა სახით დახმარებას უწევს მეთუთუნეთ.

წელს მაზრაში სიმშილს არ ველოდით. ბოლოს სიმინდი გამოგველია იმიტომ, რომ გაიტანეს ბლომათ სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ ერობისა და ადგილობრივი სასურსათო კომიტეტების საშვალებით ჯერ ჯერობით ხალხი შიმშილს თავს აღწევს.

მოსავალს აქამდი კარგი პირი უჩანდა, მაგრამ უკანასკნელ დროში დიდი წვიმა მოვიდა, რამაც ნათესი გააფუჭა. საჭიროა თავის დროზე მიღებულ იქნას ზომები, რათა მომავალში წლევანდელზე უარესი სიმშილი კარს არ მოგვადგეს. ერობასა და ცენტრალური მთავრობის მოვალეობაა ამას დიდი ყურადღება მიაქციონ.

**ბაგრატ უჩანეიშვილი.**

---

**ქ. სიღნაღი.** ივლისის 21-დან სამაზრო ერობის გამგეობამ სახ. მასწავლებელთათვის და სამასწავლებლო მოსამზადებელ პირთათვის გახსნა ერთ-თვიანი კურსები, რომელიც გამგეობის სახელით გახსნა გამგეობის წევრმა ს. ნატროშვილმა და მიჰმართა მასწავლებელთ მოკლე სიტყვით. კურსებზე 50-დე მსმენელია. მსმენელნი-მასწავლებელნი შეღავათიან ფასებში ღებულობენ პურს და შაქარს, უფასოდ ბინას და ცხელ წყალს და 100 მან. დღიურს. დღიური 100 მ. მასწავლებლებმა ძლიერ იცოტავეს და მოითხოვეს ერობის გამგეობისაგან მისი გადიდება 200 მანეთამდე. მასწავლებლებმა სთხოვეს აგრეთვე გამგეობას, რომ მან გაიღოს საკმაო თანხა და მოაწყოს მათთვის ექსკურსია ბათომში. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ერობის გამგეობა მათ თხოვნებს შესაფერის ყურადღებით შეხვდება.

X.

---

**ჭიათურა-საჩხერის რაიონის** სახალხო გვარდიის ერთი წლის ისტორია აქვს. ის ჩაისახა იმ დროს, როდესაც საქართველოს მტრები ყოველი კუთხიდან ეხვეოდენ და ლამობდენ მის განადგურებას. თუმცა ჭიათურაში ამ საშინელი მდგომარეობის დროს იყო რამოდენიმე გვარდიელი, მეტი ნაწილი მუშებიდან შემდგარი, მაგრამ ეს წარმოადგენდა მაშინ უორგანიზაციო მუშაობას; ამ უორგანიზაციო მუშაობას ანგარიში გაუწია ჭიათურის მუშათა კლასმა და თავისი წარმომადგენლების საშუალებით, სადაც ჯერ იყო, მოითხოვა, რათა ჭიათურაში დაარსებულიყო გვარდიის შტაბი. მართლაც ანგარიში გაუწიეს ამ სამართლიან მოთხოვნილებას და ჭიათურაში დაარსეს გვარდიის შტაბი. მაგრამ მარტო დაარსება ხომ არ იყო საკმარისი, მას უნდოდა ხელმძღვანელი დაუღალავი და ენერგიული. მართლაც არ მოსტყუვდნენ და ამისთანა ხელმძღვანელი ნახეს. ეს არის დიდი ენერგიის პატრონი და დღე და ღამე თავგანწირული მუშაკი—შტაბის თავმჯდომარე სერაფიონ სიხარულიძე.

მან დანარჩენ შტაბის წევრებთან ერთათ შესძლო ერთი წლის განმავლობაში, იმ 30 გვარდიელების მაგივრათ, რომლებიც შტაბის დაარსების დროს იყვნენ, შემოეკრიბა შტაბის გარშემო, როგორც ჭიათურის, ისე ჭიათურა-საჩხერის რაიონიდან 750 კაცამდე გვარდიელი. ასე რომ, დღეს ჭიათურის გვარდიის შტაბში ირიცხება 750 გვარდიელი. როგორც ზევითა ვსთქვი, შტაბის წევრების ენერგიულმა და დაუღალავმა მუშაობამ ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს რესპუბლიკას. ჩვენ ვხედავთ ჭიათურის გვარდიას გაგრის და ადერბეიჯანის ფრონტებზე, ოსეთში და სხვაგან. ყველგან იბრძოდნენ პირველ რიგში და გამოდიოდნენ ბრწყინვალედ გამარჯვებულნი. მაგრამ ერთი რამ უშლის ხელს ჭიათურის სახალხო გვარდიის შტაბს მუშაობაში. ეს ის, რომ ექვემდებარეობა ყვირილის საოლქო შტაბს და ტეხნიკურად ამაში დიდ დაბრკოლებას ხედავენ, რისთვისაც შტაბმა აღძრა შუამდგომლობა მთავარ შტაბის წინაშე, რომ ჭიათურის შტაბი გადაკეთდეს საოლქო შტაბათ. აი ასეთია ისტორია ჭიათურის გვარდიის შტაბისა. რადგან წელიწადი შესრულდა და კანონის ძალით შტაბის წევრების ახალი არჩევნები უნდა მომხდარიყო, ამიტომ პარასკევს, 31 ივლისს მოხდა წლიური საზოგადო კრება სახალხო გვარდიისა, რომელსაც დაესწრო ყველა გვარდიელები. ამ კრებაზე მოხსენება გააკეთა მთავარი შტაბის წევრმა ამხ. სირბილაძემ. მან გვარდიელებს დაუხატა თვალწინ დღევანდელ პირობებში სახალხო გვარდიის მნიშვნელობა. მან სთქვა, რომ სახალხო გვარდია, ეს სულის ჩამდგმელია რესპუბლიკისო, მოსპეთ სახალხო გვარდია, მოისპობა რესპუბლიკაცო. მომხსენებელი ვრცლათ შეეხო იმას, თუ რა გადახდა სახალხო გვარდიას, თუ რა თავგანწირულობა გამოიჩინა მან ყველგან მტრებთან ბრძოლაში. ის ამბობს, რომ შეიძლება შემდეგშიაც შეგვხვდეს უფრო მეტი ბრძოლაც, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ გვარდია ივლის იმ გზით, რა გზითაც დღემდის უვლია. შემდეგ მან სთქვა, თუ როგორ ზრუნავს მთავრობა, რომ გვარდია იყოს უზრუნველყოფილი, რომ მას რესპუბლიკის დაცვის მეტი ფიქრი არ ქონდეს. შემდეგ ის შეეხო ჭიათურის გვარდიის ტშაბის მოთხოვნილებას საოლქო შტაბათ გადაკეთების შესახებ და აღუთქვა, რომ მომავალ ყრილობაზე ეს სამართლიანი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნებაო. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ჭიათურის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე სერაფიონ სიხარულიძე. ის შეეხო შტაბის დაარსებას, მის მუშაობას და ვითარებას. ის ვრცლათ შეეხო იმას, თუ რას წარმოადგენდა დაარსების დროს გვარდია, რას წარმოადგენს დღეს და როგორ ასრულებენ თავის მოვალეობას. ყველა ფრონტებზე თავგანწირული ბრძოლა, აი დამახასიათებელი თვისებები ჭიათურა საჩხერის რაიონის გვარდიისა, სთქვა მომხსენებელმა. მოხსენებების შემდეგ მოხდა შტაბის წევრების დასახელება.

კრებამ ერთხმად დაასახელა-დაამტკიცა შტაბის ძველი წევრები. მაგრამ, რადგან წესდების ძალით ჯამაგირიანი წევრები ოთხი უნდა იყოს და ძველი წევრებიდან მარტო სამი დარჩა,—ამიტომ დაუმატეს ახალი წევრი ანკეტო სარალიძე. ასე რომ, ძველი წევრებიდან ჯამაგირიანები დარჩენ შემდეგი: სერ. სიხარულიძე, კოლია წერეთელი და ვალიკო ჩუბინიძე, მხოლოთ მეოთხე ახალი წევრი ანკეტო სარალიძე. უჯამაგირო წევრები: გიორგი ანთელიძე, ის. ხარატიშვილი და ირ. გამეზარდაშვილი. კანდიდატათ კოწია მოდებაძე. დასასრულ კრებამ „ვაშა-"ს ძახილით და ოვაციებით დააჯილდოვა შტაბის თავმჯდომარე სერ. სიხარულიძე.

**თეოფილე კალანდაძე.**

# ცენტრალური სოციალური დამხმარე საზოგადოება

25 ივლისს ნაძალადევის მუშათა კლუბში შესდგა რაიონული კრება; დაესწრო 80 კაცი. სოსმენილ იქნა მოხსენება ცენტრალურ სოციალურ საზოგადოების წარმომადგენელისა; მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა გამგეობა ხუთი კაცისაგან, სადაც შედიან ამხ. ხაბრელაშვილი, გორჩიცა, მაჭარაძე, გ. სადაგიშვილი, მეტეხელი. საზოგადოებაში წარმომადგენლად გაგზავნილ იქნა ამხ. გორჩიცა.

საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა, რომ აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა საზოგადოებას მიეცეს მატერიალური დახმარება.

ბავშთა სასახლის შესახებ გამგეობამ დაადგინა, რათა აღძრულ იქნეს შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, შესაფერი სახლის გამოძებნის შემდეგ მოხდეს რეკვიზიცია ბავშთა სასახლის შესახებ.

27 ივლისს ტრამვაის მუშათა და მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობის სხდომაზე ცენტრალურ საზოგადოების წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება სოციალურ საზოგადოების მოქმედების შესახებ. პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ დაადგინა ახლო მომავალში საზოგადო კრებაზე დასვას საკითხი, რათა პროფესიონალურ კავშირის წევრთ დაევალოსთ ჩაეწერონ ცენტრალურ სოციალურ დამხმარე საზოგადოებაში წევრად. X.

---

ანგარიში „სოციალურ დახ-ბის დღისა" 26 ივლისს 1920 წ.

**შემოსავალი:** 1. % % გამორიცხვა რესტორანებიდან, კაფეებიდან და კინემატოგრაფებიდან—42528 მან. 2 კაპ. 2) მისიებიდან—16420 მან., 3) ბანკებიდან—21500 მან., 4) კონცერტებიდან—24700 მან., 5) ყულაბებიდან—2916 მან., 6) გაზეთები და სხვა წვრილმანი შემოწირულებანი—16159 მან. 10 კაპ., 7) აუქციონიდან—2540 მან., 8) რკ. გზ. სასურს. კომიტეტიდან—1500 მან.

სულ—128263 მან. 12 კაპ.

**გასავალი:** გაზეთების გამოცემა, განცხადებების დაბეჭდვა, მსახიობთა ჯილდო და სხვა წვრილმანი ხარჯები—სულ 34 650 მან.

საზ—ბის გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

# წერილი რედ. მიმართ

ქ. როსტოვში საქართველოს კუნსულის მიერ მოწვეულ მრავალრიცხოვან კრებაზე შეკრებილ იქნა საგრძნობი თანხა შემოწირულებისა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავარ ბიუროს კვიტანციის გაცემით. შემოწირულება შემდეგშიაც კარგა ხანს გროვდებოდა, მას აწარმოებდა ბ-ნი პ. ქ. შანიძე. ნათქვამი იყო, რომ შემომწირველთა სია იქნებოდა გაზეთში გამოქვეყნებული, მაგრამ, ვინაიდან როსტოვში ჩვენთვის მაინც ძნელი იქნებოდა ამის გაგება, ამხანაგებმა დამავალეს თფილისში ჩასვლისას გამეკო და მეცნო მათთვის. ვთხოვთ ბ-ნ პ. ქ. შანიძეს ან მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ ბიუროს გაზეთითვე გვამცნოს—წარმოდგენილ იქნა თუ არა როსტოვში შეგროვილი ფული და თუ გამოცხადდა გაზეთში შემომწირველთა სია, როდის და რა ნომერში.

ამხანაგების მონდობილობით **ვ. ხხულუხია.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

# განცხადებანი


## სახელოსნო კლუბის გამგეობა

იწვევს მსურველსა, რომელსაც შეუძლიან მოაწოდოს ოცი ვაგონი მაგარი ხარისხის შეშა. მსურველს შეუძლია თავის პირობები შეავატყობინოს კლუბის კანტორაში 6—10 ს. საღამოს. (2547—2—1)

## განმეორებითი გამოცდები მათემატიკაში

**და ენებში ვამზადებ მოწაფეებს**

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5, 9—11 ს. 4—6 ბინა ი. მაჩაიძისა. (2546—4—1)

ექიმმა
## ნიკოლოზ მახვილაძემ

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი
## ნ. ლ. ტურიაშვილი

ილებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და სად. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი
## ი. გ. ქუთათელაძე

ილებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპნ ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვეკიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914), ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. სად. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

## სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
## მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., სად. 6—8 საათ. არის საწოლები. ყოროლენოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
## ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. სად. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საბავშვო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ილებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
## ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 [illegible] ოლოს ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. პეპელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

ილებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ექიმი
## ქენრიხ ისააკს ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741)

ექიმი
## გ. ი. ოქროპირიძე

ილებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთაველის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
## ხილდეგარდ ისააკს ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ილებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ზელგის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)